



ԸՆԹԱՀԱՅՈ

№ 143 / 1 - 7 ՕՅԼՈՒՄ / 2013

- Ծանոթության մեջ մասնակի պահանջման դասագրաված գլուխացնելու համար 83. 8
- Արա Կոմիտասի պահանջման պահանջման դասագրաված գլուխացնելու համար 83. 16
- Շաբաթական աշխարհական պահանջման դասագրաված գլուխացնելու համար 83. 20
- Ուսումնական պահանջման դասագրաված գլուխացնելու համար 83. 24
- Տարբերակային պահանջման դասագրաված գլուխացնելու համար 83. 36

ՑԱՆՈ 2 ՀԱՐՈ

ISSN 1987-7528



# ՀԱՅՈՒԹՈՒՆ ԿԱՐԵՎՈՒՄ ՈՍՔԻՒՆ

83. 40

## 0909 iOS-0სთვის



ლიბერალი - ახლა უკვე იქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

0300ъз 9337885!

0300ъз з083960330:

www.jit.gc

The logo for lit.ge, featuring the word "lit.ge" in a stylized font with a teal border.

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი  
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები  
ლიკა ზაქაშვილი  
ირაკლი ასაძე

#### შურალისათვეგი:

ზურაბ გარდაშვილი, თათია ხალიანი,  
ანი ჭანკოტაძე, თონა ყიფშიძე, გორგა  
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო  
აფცალური, ეკა მაღალაძე, ლაპა  
ქათარაძე, ქეთევან ლვერდაშვილი

#### კონფიდენციალი:

დიმიტრი მანჯავაძე, გასო კუჭუხიძე,  
კარინე ასატრიანი, ლელა რეზვიაშვილი

#### რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექიშვილი  
კორექტორი  
ნათია ორმოცაძე

გამოცემლობა:  
ლინეარისტი  
შორენა შავერდაშვილი

შიზოცენტრის განვითარების განვითარები:  
რუსული ბარათაშვილი


პარალელური განვითარების ურთიერთობის  
განვითარები:

ირმა მოსულიშვილი

ლისტრისტი:  
გაგა გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები  
დაგვიავეშირიანი:

mziakublashvili@gmail.com



მგონი, მაინც მძიმე იყო წინა კვირა – ნაციონალური მოძრაობის ლი-დერებისა და წევრების ღიმილისმომგვრელი, დაუსრულებელი ბოდიშები ახლადაღმოჩენილი წამების ფაქტების გამო, რასმუსენის ვიზიტი, პრემიერის ცოტა არ იყოს არაადეკვატური განცხადება წასვლასთან დაკავშირებით, მერიის თანამშრომლების დაკავება, გამოშვება და მერე ისევ დაკავება...

ცუდი მაინც ისაა, რომ მგონი, მაინც ვერ ვაცნობიერებთ, წამების აკრძალვა რომ ადამიანის ფუნდამენტური, აბსოლუტური უფლებაა, რომელიც არც ერთ ვითარებაში, არც ომში და არც სისხლისლვრის დროს არაა დასაშვები. უფრო ცუდი კი ისაა, რომ ხელისუფლება ვიდეო-კადრებს აშკარად პოლიტიკური მიზნებისთვის – ანუ, მთავარი პოლიტიკური ოპონენტის, ნაციონალური მოძრაობის დასაძირად იყენებს, საზოგადოება კი მწამებლების დასჯეას რატომლაც არ მოითხოვს.

ჩვენში არც ის გამხდარა დისკუსიის და მსჯელობის საგანი, რომ გასული წლის სექტემბერში გაერცელებულ ვიდეო-კადრებში ასახული წამების ფაქტებში დამნაშავებს უცნაურად მსუბუქი სასჯელები შეუფარდეს. ზოგი საპროცესო გარიგებით გამოუშვეს, ზოგს 6 თვე მიუსაჯეს, ყველაზე დიდი სასჯელი კი – მხოლოდ 6 წელია.

საზოგადოება დუმს და შეჰქურებს ხელისუფლებას, რომელიც რაც დრო გადას, პირადად მე უფრო და უფრო უმწეო მეჩენება.

P.S. „ლიბერალის“ ამ წომრის გარეკანი ჩვენი უურნალის წინა წომრების ყდებს არ ჰგავს. ფოტოზე ლეგენდარული ელენე დარიანია გამოსახული. ქალი, რომლის არსებობაშიც მე პირადად დღემდე ეჭვი მეპარებოდა – პაოლო იაშვილის ფანტაზიის ნაყოფი მეგონა.

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ გამოცემული 50 ქართველი ქალის ისტორიის შესახებ ანი ჭანკოტაძე მოგითხოვთ. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ ქალებიდან რამდენიმე – დახვრიტეს, რამდენიმე კი საბჭოთა პანაკების კოშმარები გამოიარა.

**ნინო ბექიშვილი, აღმასრულებელი რედაქტორი**



## კალების ახალი აღართობის ისტორია

„50 ქალი საქართველოდან“ – ასე ეწოდება ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ახალ პროექტს, რომელიც XIX-XX საუკუნეებში საქართველოში კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალების ბიოგრაფიებსა და ორიგინალურ ფოტოებს აერთიანებს. ამ ქალების უმეტესობა და ქვეყნის ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილი ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი იყო. საოჯახო არქივებსა და მუზეუმებში მიკვლეული ფოტოები და მათ უკანა მხარეს დაბეჭდილი მოკლე ბიოგრაფიები ჩვენი წარსულის უცნობ დეტალებს ამხელს და მკითხველს მივიწყებული ისტორიის ახალი პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას აძლევს.

ანი ჭანკოტაძე  
83.40

## ნამების მსხვილი ლასახავე

ჩემთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ 16 ჯალათის წინააღმდეგ, რომელთა მონაწილეობით ჩადენილი დანამაულიც სექტემბერში ყველამ ვიზილეთ. პროცესი გაუმჯორვალე იყო. ისიც კი არ ვიცით ეს ხალხი რა მუხლით გასამართლდა. სასჯელები არაადეკატურად მსუბუქია, ზოგი მათგანი საერთოდ გათავისუფლდა, ზოგს 6 თვე მიესაჯა და მალე გარეთ გამოვა. მაქსიმალური სასჯელი 6 წელი და 9 თვეა. ხოლო სამუშაო უფლების აკრძალვა მაქსიმუმ 1 წლით და 3 თვით განისაზღვრა. ზოგს ეს უფლება საერთოდ არ ჩამოერთვა. ახლა, როდესაც მალე ციიდულ გამოვლენ, თეორიულად მათ შეუძლიათ პოლიციაში ან ზოგადად, ძალოვან სტრუქტურაში მუშაობა განაგრძონ.


ზურაბ ვარდიაშვილი  
83.8

## ჩობოს ვისავთ ლაზა ტერეზობის

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდა, თუმცა მოუგვარებელი პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადა. ბრაკონიერობასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, ფართობის ზრდა, რეინჯერების ხელფასები – ეს ის საკითხებია, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა გადაიქრას.

დაცული არის ტერიტორია, რომელსაც სპეციალური სტატუსი უნიკალური ბიომრავალფეროვნების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დასაცავად და შესანარჩუნებლად აქვს მინიჭებული.

საქართველოში დაცვის ხარისხის მიხედვით 6 კატეგორიის დაცული ტერიტორია არსებობს. ესენია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.



ეკა მაღალდაძე  
83.50

## ეცაი ხონლაუი სახსათის უცნებობისთვის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაასრულა მუშაობა კოდექსზე, რომელიც საკვების უცნებლობას, ვეტერინარიასა და მცენარეთა დაცვას ეხება. სააგენტომ ამბობენ, რომ კოდექსში მასშტაბური ცვლილებები შევიდა როგორც სურსათის უცნებლობის კონტროლის გაძლიერების, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით. ცვლილებების პაკეტი გადაგზავნილია სამინისტროებში და მაღლე მისი განხილვა პარლამენტშიც დაიწყება.

თათია ხალიანი  
83.46

### ცხრილი

## ირანის ახალი მოულოდნელი პრეზიდენტი – ჰასან როჰანი



ვასო კუჭუხიძე  
83.24

### ნოარში:



ელენე დარიანი (ბაქერაძე)  
ფოტო ოჯახის არქივიდან

- 04 მოკლედ  
ორი აზრი
- 06 არის თუ არა გამართლებული პრემიერ-მინისტრის განცხადება დროზე ადრე თანამდებობის დატვების შესახებ?
- 08 პოლიტიკა
- 12 26-27 ივნისი: ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტი
- 16 რატომ უნდა ავარიდოთ თავი კოსოვოსთან პარალელებს
- 20 შეცდომა თუ დანაშაული?!  
**უცხოეთი**
- 24 ირანის ახალი მოულოდნელი პრეზიდენტი – ჰასან როჰანი  
**რეგიონი**
- 28 სიყვარულსა და ძალადობას  
**შორის**
- 32 სისხლის სამართლის ახალი პოლიტიკა  
**განათლება**
- 36 თავისუფლება მხოლოდ თავისუფლებით მიიღწევა
- 56 ციტატები

### გამომცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამოცემები:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ სააგენტო უფლებები დაცულია.  
უცნებლობი გამოქვეყნებული მსალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### გეზდვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოიდის კვირაში ერთხელ, ყოველ თვეში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

## აშ-ის უზენაესმა სასამართლომ ფედერალური კანონმდებლობის მუხლი გააპათილა, რომელიც ქორწინებას განსაზღვრავდა როგორც კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის.



აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ფედერალური კანონმდებლობის მუხლი გააპათილა, რომელიც ქორწინებას განსაზღვრავდა როგორც კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის. ამავე დღეს მიღებული სხვა გადაწყვეტილებით, სასამართლომ კალიფორნიაში გაუხსნა გზა ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას. პირველი გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ კანონიერ ქორწინებაში მყოფ ერთსქესიან წყვილებს შეეძლებათ გადაიხადონ იგივე ფედერალური გადასახადები, მიღლონ ჯანდაცვისა და პენსიის იგივე შედავათები, რომლებითაც ამ დრომდე ძირითადად, საპირისპირო სქესის წარმომადგენლები სარგებლობდნენ.

უზენაესი სასამართლოს მიერ 26 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებებს ჰომოსექსუალებმა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში უდიდესი გამარჯვება უწოდეს.

ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება დაშვებულია 12 შტატსა და ვაშინგტონში. ამასთან, კიდევ 18,000-მდე წყვილი დაქორწინდა კალიფორნიაში იმ მოქლე პერიოდში, როცა ასეთი ქორწინება იქ კანონიერი იყო. გავრცელებულ განცხადებაში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მიესალმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და მას „არასწორი ვითარების გამოსწორება“ უწოდა: „ეს უდიდესი გამარჯვე-

ბაა და ბედნიერი დღეა ერთმანეთის მოყვარული, დაქორწინებული წყვილებისა და მათი ოჯახებისთვის. ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ამერიკაში არ არიან მეორეხარისხოვანი მოქალაქეები“, – განაცხადა ბარაკ ობამა.

თუმცა, ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინების მოწინააღმდეგები აცხადებენ, რომ ბრძოლას გააგრძელებენ.

## აირატი ლაცი ლამას ბალაობის წახალისა ბანაჟოს

ჩინეთის მთავრობამ 17-წლიანი აკრძალვის შემდეგ ტიბეტის სულიერი ლიდერის დალაი ლამას ფოტოგრაფირების ნებართვა გასცა. დალაი ლამას გადაღება ქვეყანაში 1996 წლიდანაა აკრძალული. ბრიტანული გამოცემა „ინდეფუნდენტი“ წერს, რომ ეს გადაწყვეტილება შესაძლოა ჩინეთის ახალი ლიდერის ახალი რელიგიური პოლიტიკის ნიშანი იყოს და ტიბეტისა და ჩინეთის მთავრობებს შორის დაძაბულობის მოხსნას შეუწყობს ხელს.



## მცველი შეჭირული სამართლების მმართველობის მიზანი

ბრიტანეთში ექიმებს შესაძლოა უფლება მიეცეთ დედით გადამდებარებათა აღმოსაფხვრელად მესამე, ჯანმრთელი დონორის დეენემი გამოიყენონ. საკამათო პროცედურა, რომელსაც მიტოქონდრიული ტრანსფერი ჰქვია, ჯანმრთელი დონორის საშუალებით დედიდან ბავშვზე ავადმყოფის გადასცლას ხელს შეუშლის. სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში დაახლოებით 6 500 ადამიანი მიტო-


ქონდრიული დაავადებით იბადება. თუ პარლამენტი მომავალ წელს ამ ინიციატივას დაამტკიცებს, ბრიტანეთი პირველი ქვეყანა გახდება, რომელიც მკურნალობის ამგვარ რადიკალური მეთოდს მიმართავს. 2014 წლამდე ექიმებს საშუალება ექინებათ ამ პროცედურის გაკეთების უფლება მიიღონ.

პროცედურები ცხოველებზე გამოიკადა, ის ადამიანებზე ჯერჯერობით გამოცდილი არ არის. ამ მიზეზის გამო ის ბავშვები, რომლებიც ამ პროცედურის შემდეგ დაბადებიან, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. თუ ინიციატივა კანონმდებლობაში აისახება 10 ყველაზე მწვავე დაავადებიდან სუთი მკურნალობას დაექვემდებარება. ეს რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს რადგანაც მიტოქონდრია ხშირ შემთხვევაში სხვა სამედიცინო პრობლემებთან როგორიცაა დაბეტი, პარკინსონის დაავადება და ა.შ. არის დაკავშირებული.

## ნაციონალური სამართლების ვიზიტი საკამათველოში

26 ივნისს საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ნატოს დელეგაცია ეწვია, გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ხელმძღვანელობით. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე, დელეგაციის წევრებმა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა საქართველოს მიერ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შესრულების პროცესი შეაფასეს. მანამდეკი, პრემიერ-მინისტრის და ნატოს გენერალური მდივნის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატოს კარი კვლავაც ლიად და აღიანსი ერთგული რჩება 2008 წლის პპრილში ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისა, რომლის მიხედვითაც საქართველო ერთ დღეს აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და ეს მას შემდეგ მოხდება, რაც სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების სათანადო სტანდარტებს მიაღწევს.



„ეს ნიშნავს ადამიანის უფლებების პატივისცემას, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით. ძალადობა, რომელიც ჩვენ თბილისის ქუჩებში 17 მაისს ვიხილეთ, არ უნდა ვლინდებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მშვიდობიანი შეკრებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება ფუნდამენტურია დემოკრატიისთვის. იმის დემონსტრირებისთვის, რომ დემოკრატიას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი, საჭიროა შედეგიანი პოლიტიკური კოპაბიტაცია, კანონის უზნაესობის მტკიცე აღიარება და იმის უზრუნველყოფა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები წელს ძალიან მაღალი სტანდარტების შესაბამისად ჩატარდეს“, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

პრესკონფერენციის შემდეგ, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შესავალ სიტყვაში, აღიანის გენერალურმა მდივანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა, რომ აუცილებელია პოლიტიკური ჩარევების-გან თავისუფალი მართლმასჯულების უზრუნველყოფა.

შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო კვლავაც სიამაყით განაგრძობს მონანილეობას ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში ავღანეთში და ქვეყანა ასევე იაქტიურებს 2014 წლის შემდეგაც, როდესაც ნატოს საპრომლო მისია ავღანეთში

ადგილობრივი უსაფრთხოების ძალების სასწავლო და საკონსულტაციო მისიად გარდაიქმნება. ალიანსის გენერალურმა მდივანმა კი კიდევ ერთხელ გამოიტქვა მწუხარება ქართველი სამხედროების დალუპვის გამო. თუმცა, მისი თქმით, ქართველი სამხედროები ავღანეთში იმისთვის კი არ არიან, რომ ამით ალიანსში საქართველოს განევრიანებას მიაღწიონ, არამედ არიან იმისთვის, რომ ტერორიზმთან ბრძოლით უფრო უსაფრთხო გახდეს საქართველოს მომავალი.

### **ჩოხა საჩენავს აშშ-ში სისამართლით ღასა ღვევება**

შეერთებულ შტატებში ბოსტონის ტეროაქტში ეჭვმიტანილ ჯოხარ ცარნაევს ბრალი ნაუყენეს, რომლითაც მას 4 ადამიანის მკვლელობაში ადანაშაულებენ.

თავდაპირველად, 19 წლის ცარნაევს 3 ადამიანის მკვლელობა ედებოდა ბრალად, რასაც დაემატა 26 წლის პოლიციელის გარდაცვალება რომელიც, გამოძიების ვერსიით, ჯოხარმა და მისმა უფროსმა ძმამ ტამერლანმა მასაჩუსეტსის სტუდენტში მოკლეს. საპრალდებო დოკუმენტი 75-გვერდიანია. იგი 30 პუნქტისგან შედგება, საიდანაც 17 სამუდამო პატიმრობას ან სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ცარნაევისთვის სასჯელის უმაღლესი ფორმის შეფარდებას მოითხოვენ.

### **3 ატიკანის ვაჟისაოცოსი თალღითობის ბარებით ღასავას**

ფულის გათეთრების ბრალდებით კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი დააკავეს. ეპისკოპოსი ვატიკანში ფინანსურ საკითხებს განაგებდა. სალერმოს ეპისკოპოსას ნურციო სკარანოს ვატიკანის ბანკში რამდენიმე საეჭვო ოპერაციის განხორციელება ედება ბრალად. ამ საქმის ფარგლებში კიდევ ორი ადამიანია დაკავებული: იტალიური საცხამასურის აგენტი და ბროკერი. ეპისკოპოსის დაკავებამდე ორი დღით ადრე პატმი ფრანცისკმა ვატიკანის ბანკის საქმიანობის საგამოძიებო კომისია შექმნა. 

## სერგო რატიანი

საპარლამენტო უმცირესობის წევრი

ზოგადად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოლიტიკა სრულად უცნაურია და პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარებისკენაა მიმართული.

ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც, რაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მის პოლიტიკიდან ვადამდე ადრე წასვლას უკავშირდება, უპასუხისმგებლოა და მეორე მხრივ, მისი ამომრჩევლის უპატივცემულობაცაა.

პოლიტიკაში მოსვლა საზოგადოების წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს გაკისრებს. ხალხი ელოდება იმ დაპირებების შესრულებას, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისცა.


როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოდიოდა, ხალხს ოცნებების ასრულებას ჰქონდა და ყველას ეგონა, რომ ის ჩართული იქნებოდა პროცესებში. ამ დროს კი პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან სამუდამოდ მიდის, საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლებს და თავის ძალებს სამოქალაქო სექტორის განვითარებას მოახმარს.

პოლიტიკაში ეს ქმედება არაფრით არაა გამართლებული, როცა შენ მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ნდობა და მოლოდინი არსებობს, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება.

თუმცა სხვა საკითხია, მისი განცხადება რეალურად ნიშნავს თუ არა პოლიტიკიდან წასვლას.

ვფიქრობ, რომ მას ხელისუფლებაზე მაინც ექნება გავლენა და ამას თვითონაც არ უარყოფს. თუ პრემიერს უნდა, რომ ქვეყნაში მიმდინარე მოვლენები სხვა სივრციდან აკონტროლოს, იქნება ეს საზოგადოებრივი სექტორი თუ თავისი ბიზნესსაქმიანობა, რეალურად, კლასიკური ოლიგარქის და არა პოლიტიკოსის ქმედებას ემსგავსება.

მას, უბრალოდ, ექნება უფლებები და აღარ ექნება მოვალეობები. **■**



## აჩვს თუ აჩა ბამახთლებაც ღირზე აღე თანამდებარებელი

■ პოლიტიკაში მოსვლა საზოგადოების წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს გაკისრებს. ხალხი ელოდება იმ დაპირებების შესრულებას, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისცა.



## 1 პეტრე-მინისტრის ბანცხალება აობის ღამოვების შესახებ?

■ ეს განცხადება არასწორად მიმაჩნია, რადგან ქვეყანაში ჯერ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი და ეს „ქართული ოცნების“ მიერ გაცემული დაპირებების შესრულებაა.

მამუკა არეშიძე  
ექსპერტი

საქართველოს პრემიერს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების აზრის ტესტირება ახასიათებს.

ამიტომ, ვვარაუდობ, რომ ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლაზე განცხადება სწორედ ამ მიზეზით გააკეთა, სხვა მხრივ, მის ქმედებაში ლოგიკას ვერ ვხედავ.

თუმცა ეს განცხადება არასწორად მიმაჩნია, რადგან ქვეყანაში ჯერ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი და ეს „ქართული ოცნების“ მიერ გაცემული დაპირებების შესრულებაა.

ამ დაპირებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სამართლიანობის აღდგენაა. უამრავი ადამიანი, რომელიც „წაციონალური მოძრაობის“ დროს სისტემის მსხვერპლი აღმოჩნდა, იმედით ელოდება „ქართული ოცნების“ ეფექტურ ნაბიჯებს.

მართალია, პროცესი დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით, ბევრი გამოსაძიებელი საქმის გამო, შედარებით ნელა მიმდინარეობს.

ბიძინა ივანიშვილმა ეს დაპირებები სისტემაში უნდა მოიყვანოს. ვიდრე ეს შეუქცევადი პროცესი არ დაიწყება და საზოგადოების დაკვეთა არ შესრულდება, პრემიერი პოლიტიკიდან არ უნდა წავიდეს. ეს ხელის დაბანას და საკუთარი წარუმატებლობის აღიარებას ნიშნავს. დღევანდელი გამარჯვებული კოალიციის ერთადერთი მაკონსოლიდიდირებელი ლიდერი სწორედ ბიძინა ივანიშვილია და მისი წასვლის შემთხვევაში კოალიცია დაიშლება.

გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ მისი პოლიტიკიდან წასვლა „წაციონალური მოძრაობისთვისაც“ ცუდი იქნება, ბევრი მათგანის მშვიდობის, კოაბიტაციის შენარჩუნების და ექსცესებისგან თავის არიდების გარანტი პრემიერ-მინისტრია. ■



ინტერვიუს ფოტოს მომსახულის  
ფოტო

# ნამების მსხვერპლთა ესასაცალ

ინტერვიუ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელთან,  
**მარიამ ჯიშკარიანთან**

26 ივნისს მსოფლიომ წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო  
დღე აღნიშნა. თუმცა ამ დღის გარეშეც წამება, როგორც მოვლენა, ჩვენს  
ქვეყანაში აქტუალობას არ კარგავს.

გაეროს კონვენცია წამების საქმეების  
გამოძიებას განსაკუთრებით სწრაფად და  
ეფექტურად ითხოვს, რამდენად კმაყოფილი  
სართ იმ ტემპებით და ხარისხით, რომლი-  
თაც ჩვენი საგამოძიებო სამსახურები  
გამოიჩინან?

კონვენცია წამების წინააღმდეგ ერთ-

-ერთი უმეაცრესი და სავალდებულოა. ის  
არ შეიძლება დაირღვეს თუნდაც საომარ  
ან საგანგებო სიტუაციაში. ამ კონვენციის  
მე-11 და მე-12 მუხლი სახელმწიფოს  
პირდაპირ ავალებს, რომ წამების ფაქტები  
სწრაფად, ეფექტურად და მოუკერძოე-  
ბლად გამოიძიოს. ამ გამოძიების სახელ-

მძღვანელო პრინციპები განერილია ე.ნ.  
„სტამბოლის პროტოკოლში“, რომლის  
სტანდარტებს თუ მოვიშველიებთ,  
გამოძიება არ მიმდინარეობს, ან მიმდი-  
ნარეობს იმავე მიდგომებით, რომლითაც  
წინა ხელისუფლება გამოიჩინა. ეს კი  
ეფექტურად ვერ ჩაითვლება.

ჩემთვის განსაკუთრებით შემაძფოთებელია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ 16 ჯალათის წინააღმდეგ, რომელთა მონაწილეობით ჩადენილი დანაშაულიც სექტემბერში ყველაზე ვიზიონეთ. პროცესი გაუმჯორვალე იყო. ისიც კი არ ვიცით ეს ხალხი რა მუხლით გასამართლდა. სასჯელები არაადეკვატურად მსუბუქია, ზოგი მათგანი საერთოდ გათავისუფლდა, ზოგს 6 თვე მიესავა და მალე გარეთ გამოვა. მაქსიმალური სასჯელი 6 წელი და 9 თვეა. ხოლო სამუშაო უფლების აკრძალვა მაქსიმუმ 1 წლით და 3 თვით განისაზღვრა. ზოგს ეს უფლება საერთოდ არ ჩამოერთვა. ახლა, როდესაც მალე ციხიდან გამოვლენ, თეორიულად მათ შეუძლიათ პილიკაში ან ზიგადად, ძალოვან სტრუქტურაში მუშაობა განაგრძონ.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც ვესწრებოდი, პროკურორმა ხელი სასამართლოსკენ გაიშვირა. თქვა, რომ ეს მოსამართლის გადაწყვეტილებაა. თუმცა არავინ მიასაუხა, როდესაც ვიკითხე, თუ რა მუხლებით წაუყენეს ბრალი დამნაშავებებს. კარგი, თუ პროკურატურას სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოეწონა, გაასაჩივრა რომელიმე განაჩენი?

ყველაზე მაღალი ჩინის თანამდებობის პირი, ვინც დაისაჯა, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. გამოძიების მიხედვით, ორგანიზაციონი ის იყო. მას სამი წელი და რამდენიმე თვე მიესავა. ჯერ ერთი ვინ დაიჯერებს, რომ წამების ასეთ სისტემას დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მართავდა და მისმა ზემდგომებმა არაფერი იცოდნენ? ვითომ საერთაშორისო ძებნა რომ არის გამოცადებული, მანტერესებს 21-ე საუკუნეში ამ ხნის მანძილზე რით ვერ მიაგნეს მეგის ქარდავას, ან დავით ჭავუას? სასჯელადსრულების არც ერთი მინისტრი არ დაკითხულა. ჩვენ მივმართეთ პროკურატურას და ვითხულოთ, რამდენ ადამიანზე აღიძრა 144-ე პრიმა მუხლით საქმე? რამდენ პირს წაუყენეს ბრალი? რამდენი საქმე გადაეცა სასამართლოს?

შინაგან საქმეთა სამინისტრო წამებისა და გაუპატიურებების ამსახველი ვიდეო-კადრების ჩვენებებს განაგრძოს, ვერ ურნალისტებს აჩვენეს, მერე საკრებულოს დეპუტატებს, იგეგმება მისი პარლამენტში ჩვენებაც... როგორ იმოქმედებს ეს ფაქტი თვითონ წამების მსხვერპლზე? და საერთოდ, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს სეანსები?

სერიალების ჩვენების წაცვლად შესას-სა საქმე გამოძიებაა. ეს კინოჩვენებები გაუგონარი და სამარცხვინოა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეს-შე წამებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები არავინ იცის. ამ ხალხის ქცევა ჩემს გაოცებას იწვევს. რაც არ უნდა დაფარული იყოს სახე, როდესაც მსხვერპლმა იცის, რომ მის წამებას რაღაც ჯგუფებს პერმანენტულად აჩვენებენ, მისი რეტრაგმატიზაცია ხდება. ყველა მსხვერპლს პოსტტრაგმული ნერვული აშლილობა აქვს. ამ აძლილობის ერთ-ერთი კარდინალური სინდრომი აკვისტებული მოგონებებია. ადამიანი ამ მოგონებებს ვერ იშორებს. ყველაფერი, რაც ამ წამების ასოციაციას იწვევს, მსხვერპლში ტრავმას აღვიძებს. ეს შოუ სხვა არაფერია თუ არ ადამიანისადმი სასტიკი მოპყრობა. ის შეს კანონებს და სტანდარტებს უნდა ემორჩილებოდეს. როდესაც რაიმე მასალას თუნდაც სამეცნიერო მიზნით ვიყენებ, ვთქვათ მიყდოვარ, რომელიმე კონფერენციაზე, ამისთვის საგანგებო საერთაშორისო ფორმა, სტანდარტი არსებობს. არათუ ვიდეო-მასალა, არამედ სტატისტიკური ინფორმაციაც რომ გამოიყენო, მსხვერპლის წერილობითი ნებართვა გჭირდება.

რას ამტკიცებს ამ ჩვენებებით შეს? რა მიზანს ისახავს? ეს ფაქტები ხომ გამოძიების საგანგებოა? თუ გაურს რომ საქმე გამოიძიო და ხალხს დამაჯერებელი ინფორმაცია მიანოდო, სასამართლოს მიმართე, ღიად და გამჭვირვალედ. რა საჭიროა სენსები, რა, სამინისტრო კინო-თეატრია? რა არის მისი მოვალეობა, კინოჩვენება თუ დამნაშავის დაჭერა? პროკურატურამ გამოიძიოს, დასაჯოს. თუმცა, ამ სეანსებს ხალხზე ზემოქმედებისთვის იყენებენ,

ვინაიდან გამოძიება დამაჯერებელი არ არის, საშინელებები ვნახეთ სექტემბრში, ამხელა აუკითხაჟი ატყდა და თუ შეიძლება ნახეთ მათი სასჯელები. ვთქვათ, არაპოლიციელმა, არამოხელემ ჩაიდინა ასეთი დანაშაული - გააუპატიურა, ანამა ადამიანი, როგორ გვინათ, რამდენ მიუსჯიან? გვინიათ 6 თვეში გარეთ გამოუშებენ?

ადამიანებს ყოველთვის ანამებდნენ, საბჭოთა კავშირის დროს, შევარდანის მმართველობის დროს... ყველამ ხომ იცის, როგორ ისროდნენ ხალხს ფანჯრებიდან. მოვიდა ნაციონალური მოძრაობა, რამე გამოიძიეს? ვიმე მაღალჩინოსანი დასჯილი გინახავთ? იგივე ხდება ახლაც, ატყდა აუკითხაჟი და, მერე რა? ნახეთ სასჯელი... საქართველოში იცვლება ხელისუფლება, პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, და არის რაღაც ჯგუფი, რომელიც არ იცვლება, არსად მიდის. და ეს ჯგუფი საკუთარი თავის დასჯას არ აპირებს.

**როგორც აღმოჩნდა, წამებას ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რას აკეთებს სახელმწიფო მშედეგების აღმოსაფხვრელად, მსხვერპლთა სარეპლიტაციობა, და რამდენად სკმარისია ეს ძალისხმევა?**

არაფერს აკეთებს. გაეროს ახალი მიმართულების მიხედვით, წამების მსხვერპლს დაუყოვნებლივი რეაბილიტაციის უფლება აქვს. ვიდრე მსხვერპლს იურიდიულად აღიარებ, დრო გადის, ადამიანის ჯანმრთელობა ხომ არ მოიცდის? მე კი ვერც აღარებული ვნახე ვინმე და ვერც რეაბილიტირებული.

**სახელმწიფო არავითარ პროგრამას არ ახორციელებს?**

დღესდღეობით მსგავსი არაფერი არსებობს. ჩვენ იუსტიციის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ, რომელიც გარკვეული რაოდენობის ადამიანებს, ყოფილ პატიმრებს ჩვენთან გზავნის. გვაქვს გეგმა, რომ ერთობლივად რაიმე კონცეფცია შევიმუშაოთ. გეგმებში რაღაც მონახაზები არსებობს, მაგრამ ამ მომენტისთვის პრაქტიკულად არაფერი კეთდება.

რამდენად პასუხობს ეროვნული საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებს?

ჩვენ გვინდა საპროცესო კოდექსი საერთაშორისო სტანდარტებს შეეცავასაბამოთ და ვითხოვთ კიდევ ამას. ჩვენი კანონმდებლობით მსჯელებლის არანაირი უფლება არ გააჩნია. არ შეუძლია გამოძიების მასალების მოპოვება. ადამიანს არ აქვს უფლება რომ წავიდეს სასამართლოში და გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მის მნამებელს სამი წელი მიესავეს.

ვერავინ იტყვის, რომ წამების ფაქტების შესახებ აქამდე არავის გაუგია, წლების მანძილზე წერდა ომბუდსმენი. აქტურობდნენ უფლებადმიცველები, შედეგი კი არ მიგვიღია. როგორ დაუშვა საზოგადოებამ ის, რომ ასეთი ფაქტები დიდი ხნის განმავლობაში რეაგირების გარეშე რჩებოდა? რა არ გაკორდა სწორად?

იცვლება ხელისუფლებები, მაგრამ არ იცვლება სისტემა. თუ გინდა ევროკავ-შირში შესვლა, ნატოში ინტეგრაცია, შენი პრიორიტეტი უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დაცვა და არა მისი დარღვევის დამალვე. სახალხო დამცველისადმი ისეთი ცინიკური მიღვომა, როგორიც ჩვენთან იყო, წარმოუდგენელია სადმე ევროპულ ქვეყნაში არსებობდეს. ომბუდსმენის ანგარშებს არავინ კითხულობდა. პარლამენტი მას ცნობად იღებდა. მის განხილვას სამი დებუტატი ესწრებოდა. ზოგადად და ფილისოფიურად თუ შეეხდავთ, ეს მოლიანად საზოგადოების ბრალია. საზოგადოება წამების ფაქტებს, რომელიც ყოველთვის იცოდა, ტრაგედიად არ აღიქვამდა. საზოგადოება, პრესა, ტელევიზია, არასამთავრობოები პრობლემას აღევატურად ვერც ახლა აღიქვამენ. როდესაც შეძრნუნებული გამოხატავ, „რომ ეს საშინელებაა“, მიუკერძოებელ გამოძიებას რატომ არ ითხოვ? ახლაც ისევე მიმდინარეობს გამოძიება, როგორც რამდენიმე წლის წინ.

თემა რომელზეც ვსუბრობთ, უაღრესად სესიტურია, როგორ ფიქრობთ, რამდენად

ეთიკურად და პროფესიონალურად აშენებს ქართული მედია ამ თემას?

მედიას ისეთი უმარტივესი ანაბანა ეშლება, როგორიცაა, კონფიდენციალურობის დაცვა და მსგავსი ფუნდამენტური პრინციპები. თუმცა, მთავარია რომ მედიამ სწორი აქცენტები გააკეთოს. „უმეტეს რა უბედურება“ და „ვაიმე ეს რა ვნახეთ“ გამოსავალი არ არის. გამოსავალი პრაგმატული მიღვომაა. პრაგმატული მიღვომა იმაზე ყურადღების გამახვილებაა, რომ ეს არ განმეორდეს. თუ არ შეიქმნება პრევენციის მექანიზმები, თუ კანონმდებლობა არ იქნება ადეკვატური, თუ დამნაშავები არ დაისჯებინ, ყოველთვის იარსებებს რისკი, რომ წამების ფაქტები განმეორდება.

რა მდგომარეობაა ამ დროისთვის სასჯელასრულების ან პოლიციის სტრუქტურებში? ვთქვებით თუ არა არაადამიანური მოპრობის ფაქტებს?

**■ თუ არ შეიქმნება პრევენციის მექანიზმები, თუ კანონმდებლობა არ იქნება ადეკვატური, თუ დამნაშავები არ დაისჯებიან, ყოველთვის იარსებებს რისკი, რომ წამების ფაქტები განმეორდება.**

სასჯელასრულების სისტემის მიმართ დღეს ამის თქმა არ შემიძლია. უბრალოდ იქ ახლა არანორმალური სიტუაციაა, რადგან რაც პატიმრებმა განიცადეს, აისახა მათ ჯანმრთელობაზე. ბევრი მათგანი საძილე საშუალებებზე დამოკიდებული გახადეს – რადგან დიდი რაოდგობით აღლევდნენ. რაც შეეხება პოლიციას, სამწუხაროდ გვაქვს მონაცემები, რომ იქ ცემის შემთხვევი ისევე არსებობს. ტენდენციაც იგივეა, არ სურთ ხმამაღლა გაცხადება, ადამიანებიც არ ჩივიან, არავინ არაფერს

იძიებს და ა.შ.

პრობლემა ისაა, რომ პრევენციის მექანიზმი არ არსებობს. შესაძლოა ყოფილი ობიექტები სოზარ სუბარი კარგი მინისტრია, მაგრამ ხვალ რომ ცუდი მინისტრი მოვიდეს? ერთადერთი ოურიდული უფლების მქონე, ვისაც სასჯელასრულების სისტემაზე მონიტორინგის უფლება გააჩნია, იმუნდისმენი და პრევენციის ეროვნული მექანიზმია. კანონმდებლობა უნდა უშვებდეს, რომ პროფესიონალური არასამთავრობოები მინისტრის წებართვის გარეშე გარკვეულ პროექტებს ახორციელებდნენ. იგივე ეხება პოლიციასაც. ამ მექანიზმების გარეშე ვერც ერთი მინისტრი ვერ მოგვცემს გარანტიას რომ მსგავსი ფაქტები არ განმეორდება.

ევროპასა და ამერიკაში არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ არ მაღავენ, სასჯელებიც ადეკვატურია. იძიებენ ძალიან სწრაფად, შესაძლოა თვეც არ დაჭირდეთ.

**26 ივნისი წამების მსხვერპლთა დახმარების დღეა. ეს დღე იმის დღემისამართირებაა, რომ მსოფლიო წამების წინააღმდეგ იპრეცვის... რა შედეგი აქვს ამ მხრივ ზოგადად კაცობრობას? შეგვიძლია ვეკათ, რომ ახლა მსოფლიოში უფრო წაკლება ადამიანს ანამებენ ვიდრე, მაგალითად, 10 წლის წინ? შეიძლება ვოქვათ, რომ ამ ბრძოლაში მიღწეულია პროგრესი?**

ევროპის მაგალითზე თუ განვიხილავთ, იქ ციხეთა სისტემა უძლენესად ცივილიზაციულია, რასაც ამერიკაში ვერ ვიტყვით. ამას ამერიკელები თავადვე აღიარებენ. მაგალითისთვის გუანტანამოც ქმარა. დაახლოებით ორი წელია ამერიკაში ციხეების რეფორმირებზე პრიორიტეტული მუშაობა მიმდინარეობს. ევროპაში დამოკიდებულება განსხვავებულია. არსებობს ათასი წესი, სტანდარტი, დოკუმენტი. რაც შეეხება საქართველოში გამოვლენილ წამების სისტემის შემთხვევი თუ შეეხდებით. იქაც თუ ხდება ჩვენნაირი ფაქტები, ამის თქმაც დარწმუნებით არ შემიძლია. **■**

**ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი**

**FlyGeorgia**  
The world awaits you

თბილისი-ბრუუსელი-თბილისი



[www.flygeorgia.com](http://www.flygeorgia.com)  
+(995) 32 2 71 00 00

ორი გზა  
**500**  
ლარიდან

## 26-27 ივნისი: ჩერები-აფიანტისა ხუ საბჭოს ვიზიტი

„ქართველი სამხედროები ავღანეთის ISAF-ის მისიაში საქართველოს NATO-ში გაწევრიანების უზრუნველყოფისთვის არ მსახურობენ“ – საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნმა ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას გააკეთა. ანდერს ფოგ რასმუსენის მიერ წარმოთქმული ეს წინადადება, სხვა, მეტ- ნაკლებად უკვე ცნობილი განცხადებებისგან განსხვავებით, თვისობრივად ახალი აღმოჩნდა, რაც, ნაწილობრივ, საფუძველს აცლის საზოგადოებაში არსებულ აზრს, რომ ქართველი სამხედროების ავღანეთში ყოფნა ალიანსში ინტეგრაციის ერთ-ერთი გარანტია.

### გიორგი ჭეიშვილი

2013 წლის 26-27 ივნისს, საქართველოს მთავრობის მოწვევით NATO-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის თავმჯდო- მარეობით საქართველოში ჩრდილო-ატლან- ტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტი გაიმართა.

2008 წელს შექმნილი NATO-საქართველოს კომისიის სხდომა ბოლო 5 წელიწადში მესა- მედ ჩატარდა. „28+1“ ფორმატით ალიანსის უმაღლესი წარმომადგენლები 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თბილისში პირველად შეიკრიბნენ.

26 ივნისს, სასტუმრო „რედისონში“ ან- დერს ფოგ რასმუსენი ბიძინა ივანიშვილს დახურულ კარს მიღმა შესვდა, რის შემდეგაც გამართულ პრეს-კონფერენციაზე ალიანსის გენერალურმა მდივნმა აღნიშნა, რომ სა- ქართველოში მისი პირველი ვიზიტის შემდეგ ქვეყნამ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და უფრო მეტად მიუახლოვდა NATO-ს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და რეფორმების გაგრძელება აუცილებელია.

რასმუსენმა განსაკუთრებული აქცენტი ქვეყნაში დემოკრატიის განვითარებაზე გა- აკეთა. მან 2013 წლის ოქტომბრის საპრე-

ზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებაზე, კოპაბიტაციის პროცესის გაგრძელებაზე, საქართველოს ISAF-ის მისიაში მონაწილეობის მნიშვნელო- ბასა და 17 მაისის აქციაზე მომხდარ ფაქტე- ბზეც გაამახვილა ყურადღება.

„თქვენი ჯარისკაცები ავღანეთში საქარ- თველოს უსაფრთხოების ინტერესებს ემ- სახურებიან. ბატონონ პრემიერო, თქვენი მთავრობა აჩვენებს რეალურად აღებულ ვალდებულებებს რეფორმების განხორციე- ლების კუთხით და ასევე ადასტურებს ევრო- ატლანტიკურ მისინაფებას საქართველოს მხრიდან, ჩვენ კი ვადასტურებთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო გახდება ნაცოს წევრი. ... მრავალ სფეროში საქართველომ უკვე გაატარა შესამჩნავი რეფორმები და ახლა მნიშვნელოვანია, რომ მათი გატარება გაგრ- ძელდეს და მოხდეს იმის ჩვენება, რომ სა- ქართველოში დემოკრატია ღრმად არის ფეს- ვგადგმული. ეს ნიშნავს იმას, რომ დავიცვათ ადამიანის უფლებები, რაშიც უმცირესობათა უფლებების დაცვაც იგულისხმება. ძალადო-

ბას, რომელიც ჩვენ თბილისის ქუჩებში 17 მაისს ვიხილეთ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს“.

ანდერს ფოგ რასმუსენმა ბიძინა ივანიშვილს დემოკრატიული ლირებულებების დადასტურებისკენ მოუწოდა, რის საშუალებადაც პოლიტიკური თანაარსებობის გაგრძელება, კანონის უზენაესობის წინაშე ვალდებულებების აღება და საპრეზიდენტო არჩევნების მაღალი სტანდარტებით ჩატარება დაასახელა. მან ასევე აღნიშნა, რომ NATO-ს 2014 წლის სამიტისთვის ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული და გადაწყვეტილი, თუ რა ფორმით განიხილავს ალიანსი საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებს.

ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაუდერდა ჩრდილო ალტანტიკურ ალიანსში განევრიანების სამოქმედო გეგმასთან – MAP-თან დაკავშირებული საკითხი, რომლის საქართველოსთვის მინიჭებაზე საუბრები განსაკუთრებით ხშირი და აქტუალური წინა ხელისუფლების პერიოდში იყო.

ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, რომ NATO-ში სახელმწიფოები „მაპის“ გარეშეც არიან შესული, ხოლო საქართველო „მაპის“ საკითხს პრინციპულად არ აყენებს და ქართული მხარე ალიანსის ქვეყნების გადაწყვეტილებას ელოდება. მისივე თქმით, ანდერს ფოგ რასმუსენმა აღნიშნა, რომ საქართველომ ძირითადი აქცენტი ტერმინებზე არ უნდა გააკეთოს.

ერთობლივი პრიფინგის შემდეგ NATO-საქართველოს კომისიის სხდომა ალიანსის გენერალურმა მდივანმა და პრემიერმა გახსნეს. ოფიციალური განცხადებების შემდეგ სხდომა უზრნალისტებისთვის დახურულ ფორმატში, თითქმის 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

ვიზიტის პირველი დღე ანდერს ფოგ რასმუსენისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის პირისპირ შეხვედრით დასრულა, რასაც კულტურული ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართული არაოფიციალური ვახშამი მოჰყვა.

27 ივნისს, ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ოფიციალური ვიზიტის მეორე დღე საქარ-



თველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან და საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებთან დასურული ფორმატის შეხვედრით დაიწყო.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ, ანდერს ფოგ რასმუსენმა პოლიტიკურ ძალათა შორის კოპაბიტაციის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და განმარტა, რომ პროცესი არ არის მარტივი, თუმცა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ქართულმა დემოკრატიამ იმუშაოს და კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებები.

ვიზიტის ფარგლებში NATO-ს გენერალური მდივანი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, უმშროების საბჭოს მდივანსა და თავდაცვის მინისტრსაც შეხვდა. ერთ-ერთი სტუდენტის კითხვაზე პასუხად ანდერს ფოგ რასმუსენმა აღნიშნა, რომ ალიანსს ორმაგი სტანდარტები არ აქვს და საქართველოს მიმართ NATO-ს მოთხოვნები ისეთივეა, როგორიც ყველა სხვა ე.წ. ასპირანტი ქვეყნისთვის. მან ასევე განაცხადა, რომ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან, რასაც NATO-ს ღია კარის პოლიტიკა ჰქვია რუსეთს არაფერი ესაქმება.

ოფიციალური ვიზიტის მეორე დღის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაი-

■ ანდერს ფოგ რასმუსენმა  
ბიძინა ივანიშვილს დემოკრატიული ლიდერებულებების დადასტურებისკენ მოუწოდა, რის საშუალებადაც პოლიტიკური თანაარსებობის კანონის უზენაესობის წინაშე ვალდებულებების აღება და საპრეზიდენტო არჩევნების მაღალი სტანდარტის ჩატარება. მან აღნიშნა, რომ NATO-ს 2014 წლის სამიტისთვის ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული და გადაწყვეტილი, თუ რა ფორმით განიხილავს ალიანსი საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებს.

მართა. მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე საუბრის მთავარი თემები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა იყო. ანდრეს ფოგ რასმუსენის განცხადებით, სასამართლო პროცესები არ უნდა ცვლიდნენ პარლამენტს და არ უნდა შეიცვალოს ადამიანთა ნება – „მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ქეშმარიტი დემოკრატია გაცილებით უფრო ბევრს ნიშნავს ვიდრე უმრავლესობის მმართველობა. ქეშმარიტი დემოკრატია უმცირესობათა პატივისცემასაც გულისხმობს, პოლიტიკური ოპოზიციის პატივისცემას დაიალოგისა და კოპარტიაციის მეშვეობით“.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მწვავედ  
გაკრიტიკებულ მაღალჩინოსანთა დაკავების  
ფაქტებს, ასევე, მერიისა და საკრებულოს  
თანამშრომელთა დაპატიმრებას აღიანსის  
გრინრალური მდივანიკ გამოიხმაურა.

„ყოფილი თანამდებობის პირთა დაპუტი-  
მრებებს საკმაოდ სერიოზული შეშფოთებით  
ვადევნებთ თვალს. მთავრობის წევრებთან  
საუბრისას ხაზი გაფუსვი, რომ საქართვე-  
ლოს ხელისუფლებისგან კანონის უზენაესო-  
ბის სრულ პატივისცემას ვეღით. ჩვენ ვერ  
ჩავერევით სამართლებრივ პროცესებში, თუ-  
მცა უმნიშვნელოვანესია თავიდან ავიცილოთ  
იმის მსუბუქი აღქმაც კი, რომ პროცესები  
პოლიტიკურად მოტივირებულია. მთავრო-  
ბამ დამარწმუნა, რომ აღნიშნული სამარ-  
თლებრივი დევნის დროს დაცული იქნება  
კანონის უზენაესობა და უზრუნველყოფილი  
იქნება შესაბამისი სასამართლო პროცესის  
ჩატარება ღიად და გამჭვირვალედ. ჩვენ ვე-  
ღით, რომ საქართველოს მთავრობა და სა-  
სამართლო პატივს სცემს უმთავრეს პრინცი-  
პებს. ამას ვამბობ კატეგორიულად, რადგან  
მიუხედავად იმისა, რომ NATO სამხედრო  
ალიანსია, ის ასევე ღირებულებებზე დაფუძ-  
ნებული გაერთიანებაა, ეს ღირებულებები კი  
თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზე-  
ნაესობა, ადამიანის უფლებების, მათ შორის  
უმცირესობის უფლებების დაცვაა“, – განა-  
ცხადა რასმუსენმა.

კოპაბიტაციის პროცესის მნიშვნელობაზე აღიანსის გენერალურმა მდივანმა NATO-სა-

კართველოს კომისიის სხდომაზეც ისაუბრა. რასმუსენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ ცალმხრივად გადადგმული მისასალმებელი ნაბიჯი უპასუხოდ არ დარჩება. ჩრდილო-ატლანტიკური საჭრის ორდინანი ვიზიტის ბოლო ღონისძიების ფარგლებში რასმუსენმა გარდაცვლილი ქართველი სამხედროების ოჯახებს მიუსამძიმრა და იმჯარისკაცებს მიმართა სიტყვით, რომლებიც უახლოეს პერიოდში ISAF-ის მისიაში ჩაერთვებიან. ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ავლანეთში ტერორიზმის შეჩერებაში ქართველი ჯარისკაცები დიდი შემართებით, სიმამაცითა და პროფესიონალიზმით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ NATO-ს ოფიციალურ საიტზე, გენერალური მდივნის პირად ბლოგზე ორდღიანი ვიზიტის შემაჯამებელი ვიდეომიმართვა გამოქვეყნდა.

„ჩვენ ვიხილეთ ის პროგრესი, რომელსაც  
საქართველომ ევრო-ატლანტიკური ინტე-  
გრაციის კუთხით მიაღწია. განვიხილეთ ის  
სამუშაოები, რომელიც ჯერ კიდევ გასაკე-  
თებელია, იმისთვის, რათა საქართველოს  
დემოკრატია გაძლიერდეს, მართლმსაჯუ-  
ლება სამართლიანი გახდეს, ხოლო ცოლი-  
ტიკური ცხოვრება უფრო პლურალისტური  
და პროგრესირებადი იყოს. ჩვენ ვიზიარე-  
ბთ და ვეთანხმებით საქართველოს ხელი-  
სუფლების მიერ აღებულ ვალდებულებას,  
რომელიც კონფლიქტების შშვიდობიანი  
გზით მოგვარებას და რუსეთთან ურთიერ-  
თობების გაუმჯობესებას გულისხმობს.  
რუსეთს ანალოგიური ნაბიჯების გადადგ-  
მისეკნ მოუწოდებთ. NATO განაგრძობს  
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობი-  
სა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას საერ-  
თაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და  
იზიარებს სურვილს, რომ საქართველო გა-  
ხდეს ევრო-ატლანტიკური ალიანსის წევრი.

ამის მისაღებებად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი თქვენს დახმარებას განაგრძობს, ასე რომ, განაგრძეთ რეფორმები“, – ნა-  
თქვამია ანდერს ფორ რასმუსენის ვიდეო  
მიმართვაში. **ც**

მთავრობამ დამარწმუნა, რომ აღნიშნული სამართლებრივი დევნის დროს დაცული იქნება კანონის უზენაესობა და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასამართლო პროცესის ჩატარება ღიად და გამჭვირვალედ, ჩვენ ველით, რომ საქართველოს მთავრობა და სასამართლო პატივს სცემს უმთავრეს პრინციპებს. ამას ვამბობ კატეგორიულად, რადგან მიუხედავად იმისა, რომ NATO სამხედრო ალიანსია, ის ასევე ღირებულებებზე დაფუძნებული გაერთიანებაა, ეს ღირებულებები კი თავისი უფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობის უფლებების დაცვაა".

# გადმოიტანეთ სამომხმარებლო სესხი

შეიძლება არსებული  
სესხის საპროცენტო  
განაკვათი **5%-ით**

**-5%**

გააერთიანეთ სამომხმარებლო სესხი,  
საკრედიტო ბარათი, განვაღება; გადმოიტანეთ  
თიბისი ბანკში და მიიღეთ:

- **-5%** თქვენი არსებული სესხის განაკვეთზე
- **1 სესხი** და გადახდის **1 თარიღი**

# ჩატომის უნიკალური განვითარების შესახებ

ვინც კოსოვოს კონფლიქტის მსვლელობას და სერბეთ – კოსოვოს მოლაპარაკებებს თვალს ადევნებს, აუცილებლად გაუჩნდება კითხვა საქართველოს მთავრობის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების მიზანშეწონილობის შესახებ. კონკრეტულად რის მიბაძვას აპირებენ ჩვენი ხელისუფალნი? რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს ასეთმა ნაბიჯმა საქართველოს 20%-ის რუსეთის მიერ ოკუპაციის პირობებში?

### დიმიტრი მანჯავიძე

აპრილში კოსოვოსა და სერბეთს შორის მოლაპარაკებებში მიღწეულმა პროგრეს-მა საქართველოს მთავრობის ყურადღება მიიპყრო. უფრო მეტიც, გაკეთდა მთავრობის წარმომადგენელთა კომენტარები ამ პროცესის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან შესაძლო მისადაგების მიმზიდველობაზე. საუბარია სერბეთსა და კოსოვოს შორის ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებების ახალ ეტაპზე. კერძოდ, 2013 წლის აპრილში ბრიუსელის რაუნდზე სერბეთის პრემიერ-მინისტრი დათანხმდა, მხარი დაუჭიროს მონიერიკურად სერბულ მიტროვიცის რეგიონზე დამოუკიდებელი კოსოვოს იურისდიქციის აღდგენას, თუმცა თვითმმართველობის გარკვეული გარანტიების წინაპირობით. ეს „გარღვევად“ მონათლული რაუნდი თრივე ქვეყნის, სერბეთის და კოსოვოს ევროკავშირში ინტეგრაციის კონტექსტში განიხილება და გადაუჭარებლად, ამ გზაზე ახალ მიღწევას მოასწავებს.

ვინც კოსოვოს კონფლიქტის მსვლელობას და სერბეთ – კოსოვოს მოლაპარაკებებს თვალს ადევნებს, აუცილებლად გაუჩნდება კითხვა საქართველოს მთავრობის მიერ საჯაროდ გაკეთებული

განცხადებების მიზანშეწონილობის შესახებ. კონკრეტულად რის მიბაძვას აპირებენ ჩვენი ხელისუფალნი? რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს ასეთმა ნაბიჯმა საქართველოს 20%-ის რუსეთის მიერ ოკუპაციის პირობებში? გათვითცნობიერებული აქვთ თუ არა რომ ასეთ პარალელებს აფხაზეთის და სამაჩაბლოს კოსოვოს სტატუსთან იდენტიფიკაცია შეიძლება მოჰყვეს? თუ ამ განცხადებებში ევროკავშირის, როგორც მთავარი ბროკერის როლია მიმზიდველი, განა არის ასეთი განვითარების რეალური შანსი ოკუპაციის და რუსეთის მიერ სეპარატისტული რეჟუმების ცნობის პირობებში? სამწუხაროდ, ასეთი კითხვები, რამდენადაც ვიცი, არც დასმულა და არც მთავრობას გაუკეთებია დასაბუთებული განმარტებები, არადა პოლიტიკური განცხადებები უკვე გაკეთებულია. ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენივე ხელით მიგაბათ კოსოვოს გარშემო მიმდინარე პროცესები აფხაზეთს და სამაჩაბლოს, რამაც, შესაძლოა, რუსეთის მიერ ოკუპაციის თემის მოხსნისა და დე-ფაქტო რეჟიმების საერთაშორისო ლეგიტიმიზაციის წინაპირობა შექმნას.

ამ სტატიაში მხოლოდ რისკების ძირითად მომენტებს შევხები. მთავარი ისაა,



კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების დღე

რომ კოსოვოს და აფხაზეთ/სამაჩაბლოს კონფლიქტები მართლაც ჰგავს ერთმანეთს (ისევე, როგორც ყველა სხვა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი), მაგრამ მათი მოგვარების შესაძლო გზები დიამეტრალურად განსხვავდება, რაც პარალელების გავლების კონტრპოდუქტიულობას ამტკიცებს.

კოსოვოს პრობლემა ბალკანეთში მე-20 და 21-ე საუკუნეების გასაყარზე ევრო – ატლანტიკური ძალების მთავარ თავისტკივილს წარმოადგენდა. 90-იანების ტოტალური ომების შემდეგ კოსოვოს პრობლემის გრძელვადიანი მოგვარება ბალკანეთის საბოლოო „დაწყნარების“ ერთადერთი გარანტია იყო. კოსოვო იყო და არის ერთგვარი „საცობი“, რომლის გარეშეც ბალკანური „ჯინის“ რაღაც დროით მაინც შებოჭვა შეუძლებელია.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აქსელე-

რაცია 2005 წლის 14 მარტიდან დაიწყო, როდესაც მიზანმიმართულ დეზინფორმაციას კოსოვოს ყველა დიდ ცენტრში აღბანელთა გამოსვლები, დარჩენილი სერბული მოსახლეობის დარბევა და განდევნა, სერბული კულტურული და რელიგიური ძეგლების გადაწვა და გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მიმართ აგრძესია მოჰყვა. ნატო-ს სამშვიდობოებმა არაფერი, თუ ვერაფერი მოიმოქმედეს ძალადობის აღსაკვეთად. ამის მოწმე კოსოვოს ქალაქ პრიზრენში განლაგებული ქართული სამშვიდობო კონტინგენტი და საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალიც ვიყავით. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ დასავლეთის ლიდერი ქვეყნები ელოდნენ ამ კონფლიქტს, რაც აუცილებელი იყო მკვეთრი და შეუქცევადი გადაწყვეტილების მისაღებად, კოსოვოს საბოლოო სტატუსის გადასაწყვეტად, რაც აპრილი და-

■ სამწუხაროდ, ასეთი კითხვები, რამდენადაც ვიცი, არც დასტურადა არც მთავრობას გაუკეთებია დასაბუთებული განმარტებები, არადა პოლიტიკური განცხადებები უკვე გაეოფარულია. ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენივე ხელით მიგაბათ კოსოვოს გარშემო მიმდინარე პროცესები აფხაზეთს და სამაჩაბლოს, რამაც, შესაძლოა, რუსეთის მიერ ოკუპაციის ოემის მოხსნისა და დე-ფაქტო რეჟიმების საერთაშორისო ლეგიტიმიზაციის ნინაპირობა შექმნას.

მოუკიდებლობას ნიშავდა.

ასეც მოხდა, 2005 წლიდან დაიწყო კოსოვოში გაეროს მაშინდელი უმაღლესი წარმომადგენლის, გერმანელი დიპლომატი შტაინერის მიერ ინიცირებული „standards for status“ პროცესი, რომელიც კოსოვოს საბოლოო სტატუსის განსაზღვრას ევროინტეგრაციის კონტექსტში გულისხმობდა. რამდენადაც არ უნდა იყოს გასაკვირი, 2005 წლის მარტის მოვლენებს სერბეთის ხელისუფლება და ძირითადი პოლიტიკურ ძალები აშკარა შვებით შეხვდნენ. ევროპელი დიპლომატები და საერთაშორისო ჩინოვნიკები გაკვირვებულები იყვნენ სერბეთის მონდომებით ჩაბმულიყო კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის პროცესში. არადა, გასაკვირი არაფერი იყო: ომებით და დანაკარგებით დაღლილ და ქანცგამოცლილ სერბეთს აღარ შეეძლო და აღარ უნდოდა ისტორიის აჩრდილებთან და ეროვნული ეგზისტენციალითმის კომპლექსებთან ბრძოლა. სერბეთმა გაითავისა, რომ ვერც ძალით და ვერც პოლიტიკით ვერ დაიბრუნებს კოსოვოს და ვერ დააბრუნებს ლტოლვილ ეთნიკურ სერბებს.

2008 წლის 17 თებერვალს, წამყვანი დასავლური ძალების მიერ (90 ქვეყანა) კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და მისმა აღიარებამ, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა ბალკანეთის 15-წლიან კონფლიქტს. ერთადერთი ლოკალურად გადასაწყვეტი საკითხი სერბეთ-კოსოვოს ურთიერთობა დარჩა.

2013 წლის აპრილის გარდვევამ მოლაპარაკებში ამ ურთიერთობების ახალი ეტაპი მონიშნა. ფაქტიურად, სერბეთის პოლიტიკურმა ელიტამ გადაწყვიტა მოეცილებინა უკანასკნელი „ღუზა“, რათა დაეჩქარებინა ევროპული ოჯახის, ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა. თუმცა მოლაპარაკებათა ფორმატი გრძელდება. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, მათ შორის, სერბეთის მიერ კოსოვოს სუვერენიტეტის ცნობა, მაგრამ პროცესი უკვე შეუქცევადი გახდა.

კოსოვოს თემაზე კომპრომისი სერბეთის

საზოგადოების და მოსახლეობის აქტიური ნაწილის გადაწყვეტილებაა იმისათვის, რომ გახდეს გაერთიანებული ევროპის ნაწილი. ამის ალტერნატივა სერბეთისათვის ბალკანეთში რუსეთის „აგენტობაა“, რაზეც სერბეთის პოლიტიკურმა ელიტამ პრინციპული უარი თქვა.

სერბეთმა და საქართველომ 90-იანებში დიდი განვითარების ერთნაირი გზა გაიარეს. ამ თანხვედრების სრული აღწერა შორს წაგვიყვანს. მთავარი ისაა, რომ სერბეთმა, ისევე როგორც საქართველომ, დაკარგა კონტროლი თავის ძირძველ, ეროვნული იდენტურობის განმასაზღვრელ რეგიონებზე. მართლაც ბევრი მსგავსებაა სერბეთსა და საქართველოს შორის: ისტორიული სივრცის დაკარგვა, დევნილები, კულტურული მემკვიდრეობის შელახვა და კიდევ ბევრად მეტი სხვის მიერ მითვისებული ან ოკუპირებულია. მაგრამ ასევე აშკარაა ძირეული განსხვავებები: თუ 1999 წატო-ს ინტერვენცია მილოშევიჩის რეპრესიული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული და გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა, 2008 წლის რუსეთის აგრესია პროვოკაციაზე „წამოებების“ კლასიკურ მაგალითი იყო და ამ უკანასკნელის იმპერიული კომპლექსების დაკავილებას და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო პლაცდარმების შექმნას ემსახურებოდა.

კოსოვოსთვის პარალელების გავლებისას, მთავარი და ყველაზე საშიში რუსეთის ფაქტორია. რატომძაც გვავიწყდება, რომ 2008 წლის აპრილის ბუქარესტის წატო-ს სამიტზე რუსეთის ლიდერმა პუტინმა, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის მიუღებლობას ასაბუთებდა და დასავლეთს „ორმაგ სტანდარტებში“ სდებდა ბრალს, ასევე პირდაპირ მიუთითა, რომ რუსეთის რეაქცია ადეკვატური იქნებოდა.

უკვე მაშინ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ რუსეთის „ადეკვატური რეაქციის“ სამიზნე საქართველო იქნებოდა, რომელსაც ამავე სამიტზე, MAP-ის მიღებაზე უარი ეთქვა. პუტინის განცხადებების კომენტი-

რებისას გაზეთი The Guardian წერდა: „თუ კოსოვოს აღმანელი ლიდერები ყურად არ იდებენ რუსეთის არგუმენტებს და კვირას დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ, მოსკოვი იძულებული იქნება იმოქმედოს, თქვა პუტინმა. მან არ დააკონკრეტა, ზუსტად რას მოიმქმედებდა რუსეთი. არსებობს ვარაუდები, რომ მოსკოვის შურისძიება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების აღიარება იქნება.“

ასეც მოხდა. 2008 აგვისტომ რუსეთს შესაძლებლობა მისცა კოსოვოზეც გაეცა პასუხი, საქართველოც დაესაჯა და თანაც „კუზკინა მატ“ ეჩვენებინა მოელი დასავლეთისათვის. ასე რომ, კოსოვოთან ერთმა პარალელმა უკვე მოგვიტანა სამწუხა- რო შედეგი და შემდეგი პარალელი კიდევ უფრო დიდი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს. ამიტომაც, სჯობს შევთანხმდეთ, რომ კოსოვოსა და აფხაზეთ/სამარიაბლოს შორის მსგავსება მხოლოდ ზოგადი ხასია- თისაა. მთავარი განხსნავება კი მათი მო- გვარების მეთოდებია.

კოსოვო ჩვენთვის საინტერესო უნდა გახდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა საერთაშორისო დონეზე რუსეთის, რო- გორც ოკუპანტის სტატუსი ჩამოყალიბ- დება, პარალელურად კი საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაციის შეუქცევადობის გარანტიები შეიქმნება. მაშინ მართლაც საჭირო შეიძლება გახდეს კოსოვო – სერბეთის მოლაპარაკებების გამოცდილების გამოყენება პრაქტიკულ პილიტიკაში, რათა დეოუპაციის მძლა- ვრი საფუძველი განვაჟითაროთ. მანამდე კი „კოსოვოს მოდელის“ ხსენება მხოლოდ ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ იმოქმე- დებს.

ვიყოთ რეალისტები: მიუხედავად უმძი- მესი საუკუნოვანი კონფლიქტისა, სერბებ- მა და კოსოვოელმა აღმანელებმა შესძლეს გადაედგათ ნაბიჯები, რომლებიც კონფლი- ქტის განახლებას გამორიცხავენ. მაგრამ ეს გადაწყვეტილებები, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ევროპული ინტეგრაციის, ევროპული ერების ოჯახთან შეერთების ლაიტმოტივით ხდება, რადგან ე.წ. „რეკონ-

სილიაცია“ მხოლოდ ევროპული სულიერი ფასეულობების გაზიარების და შეთვისე- ბის ფონზე შეიძლება მოხდეს. „კოსოვოს მოდელი“ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გაკვეთილია იმის გასააზრებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის, საზოგადო- ების, სახელმწიფო ინსტიტუტების ინტე- გრაციას გაერთანებულ ევროპაში. დღევან- დელ ხელისუფალთ კი დაბეჯითებთ უნდა ვთხოვთ, რომ ამ ეტაპზე შეწყვიტონ კო- სოვოს საკითხის მუსირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართება- ში. თუმცა მათ ასევე მხარი უნდა დაუჭი- რონ ევრო-ატლანტიკური თანამეგბრობის ყველა ინიციატივას ამ საკითხის საბოლოო მოგვარებისათვის.

კიდევ ერთი მცირე შეთავაზება: ეგებ საქართველოს ხელმძღვანელობამ იფი- ქროს სერბეთში სრულფასოვანი საელჩის გახსნისთვის, რათა მეტად იყოს ინფორმი- რებული რეგიონში პოლიტიკური რეალო- ბების შესახებ. ასეთ მისიას დანამდვილე- ბით მეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, ვიდრე არსებულ საელჩის, მაგალითად, დანიის სამეფოში.

დაბოლოს, ამ ეტაპზე, კოსოვოს „მოდე- ლის“ გამოყენება საქართველოს დეოკუპა- ციამდე და აფხაზეთ/სამარიაბლოსთან რეინ- ტეგრაციამდე არ მიიყვანს; პირიქით, ასეთი ნაბიჯი რუსეთს პოლიტიკური მანევრირე- ბის არეალს გაუზრდის, რომელიც სტატუ- სის შესახებ პირდაპირ მოლაპარაკებებზე იცნებობს, ზუსტად კოსოვო – სერბეთის მსგავსად, ოღონდ არა ევროკავშირის, არა- მედ რუსეთის ეგიდით. ასეთი პერსპექტივა ოკუპაციის რეუიმის გამყარებას და საქარ- თველოს ევროპისგან შემდგომ დისტანცი- რებას გამოიწვევს. ეს იმ ფონზე, როდესაც კოსოვოს საკითხში კომპრომისი სერბეთს ევროკავშირის, ევროატლანტიკური თანა- მეგბრობის და უბრალოდ ცივილიზირე- ბული სამყაროს სრულუფლებიან წევრად ჩამოაყალიბებს. ჩემი აზრით, არჩევანი ქართული საზოგადოების შეგნებულ ნა- წილზეა, და ეს არჩევანი ყველა ჩვენგანის ინფორმირებულ გადაწყვეტილებას უნდა წარმოადგენდეს. **ც**

## ■ კოსოვო ჩვენთვის

საინტერესო უნდა გახდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა საერთაშორისო დონეზე რუსეთის, როგორც ოკუპანტის სტატუსი ჩამოყალიბდება, პარალე- ლურად კი საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაციის შეუქცევადო- ბის გარანტიები შეიქმნება. მაშინ მართლაც საჭირო შეიძლება გახდეს კოსოვო – სერბეთის მოლაპარაკე- ბებს გამოცდილების გამოყენება პარატლიკულ პოლიტიკაში, რათა დე- ოკუპაციის მდლავრი საფუძველი განვაჟითაროთ. მანამდე კი „კოსოვოს მოდელის“ ხსენება მხოლოდ ჩვენი ინტერესების წინააღ- დელ მდეგ იმოქმედებს.

# შესეოგა თუ ეანაშაცი?

დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი სიხისტის მსხვერპლია. ბოლო ერთ კვირაა ყოველდღიურად მაღალჩინოსნების ბოდიშებს ვისმენთ. პარტიას მმართველობის წლებში ამის მეათედი ინტენსივობით მაინც რომ ელიარებინათ შეცდომები, დღეს, ალბათ, სხვანაირ ქვეყანაში ვიცხოვრებდით.

ირაკლი აბაშე

ახლა მხოლოდ მობოდიშება ან ინფანტილიზმია, ან ფარისევლობა. დანაშაულის ის მასშტაბი, რაც ბოლო დროს გამომზეურდა, „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენიანი წევრებისაგან სრულ პოლიტიკურ, ზოგიერთ შემთხვევაში – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღიარებას ითხოვს. გავრცელებული რიტორიკა, რომ პარტია არჩევნებში დამარცხებით უკვე დასაჯა საზოგადოებამ, არაა რელევანტური. სახელმწიფოში წლების განმავლობაში პატიმრებისა და ბრალდებულების სისტემატურად წამებისთვის, ცხადია, პოლიტიკური პასუხისმგებლობა უმაღლესი რანგის ყველა ჩინოვნიკმა უნდა გაიზიაროს. ქართულ პოლიტიკას ტოტალური სიყალბის ტვირთი მანამდე გაყვება, სანამ შინაგან საქმეთა და იუსტიციის ყოფილი მინისტრები ეპისტოლებით, თავხედურად და ცალყბად მოგვიბოდიშებენ (თურმე) დაშვებული შეცდომების გამო.

შეცდომა, მაგალითად, სამსახურიდან ვინმეს უსაფუძვლოდ დათხოვნა, ან ბიუ-





ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი, ქუთაისი, 2013

DIEGO GUTIERREZ / AGENCE FRANCE PRESSE

■ ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, ამ რანგის ყველა განაცხადი შეასრულა. თქვა, რომ ის გახდებოდა პრემიერ-მინისტრი – დღეს პრემიერ-მინისტრია; თქვა, რომ „ოცნება“ პრეზი- დენტის კეტის დაძლევდა – ამას თითქმის ყოველ- დღიურად ვაკირდებით ქუთაისის პარლამენტის სხდომათა დარბაზში. ჭრელი კოალიციის რომე- ლიმე ნაწილის ოპოზიციად „დანიშვნა“ ზემოთჩამო- თლილზე იოლი ამოცანა უნდა იყოს.

ჯეტის ხარჯზე შვებულებაში წასვლა. ის, რაც ქართულ ციხეებსა და პოლიციის გა- მჭვირვალე შენობებში ხდებოდა და, შე- საძლოა, დღესაც ხდება, უმძიმესი დანა- შაულია.

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკუ- რი ბედიც დიდნილად სწორ რიტორიკასა და ჩადენილ დანაშაულებებზე აღებული პასუხისმგებლობის ხარისხზე დამოკი- დებული. დავით ბაქრაძესაც კი, რომე- ლიც მათ გუნდში ერთ-ერთ ყველაზე გა- ნონასწორებულ პოლიტიკოსად ითვლება და წლების განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარე იყო, თუ ამ ფაქტებთან მი- მართებაში საჭირო სიტყვებს, დამოკიდე- ბულებას ვერ იპოვნის, გაუჭირდება სა- ხის შენარჩუნება. ქვეყნის ყოფილი მეორე პირისგან არასერიოზულია განცხადება, რომ ამ მაშტაბის ტრაგედიაზე ინფორ- მაცია არ გააჩნდა. მით უფრო – ყველას გვახსოვს, რა იქედნურად ისმენდა მისი პარლამენტის უმრავლესობა ცნობებს ორი სხვადასხვა ობბუდსმენის ანგარიშში მოხვედრილ წამების ფაქტებზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ იხტიბარ- გაუტეხლობა სახელმწიფო ბრიობის- თვისაა საფრთხე. ქვეყანამ უახლოეს ისტორიაში პირველად მოახერხა ხელისუ- ფლების არჩევნებით შეცვლა. მყიფე დე- მოქრატიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება, თუ ყოფილი მმართველი პარტია ოპოზიციაში ერთ საარჩევნო ცი- კლს მაინც გაუძლებს. ეს ქართული დე- მოქრატიის სიმწიფის დასტური იქნებოდა.

„ოპოზიციის გარეშე დემოკრატია არ შეიძლება იყოს, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. ის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება, კონსტრუქციულ ოპოზიციად გადაიქცეს, ნაკლებსავარაუ- დოა. ისინი შეასრულებენ ამ როლს იქა- მდე, ვიდრე შეასრულებენ. ოპოზიციის განადგურებას არავინ აპირებს, როგორც ამას სააკაშვილი ამტკიცებს. ისინი თავად აყენებენ ზიანს თავიანთი საქმიანობით პარტიას და მომხდარისგან გაკვეთილი ვერაფრით გამოიტანეს. ისინი კვლავინ- დებურად დაუინებით ამტკიცებენ, რომ

თეთრი შავია და შავი – თეთრი. თუ მათ მაინც არ შეუძლიათ, ოპოზიციის ნიშა დაიკავონ, ასეთი შემთხვევისთვის ჩვენ გვაქს თადარიგი თავად სახელისუფლე- ბო კოალიციაში, რომელიც 6 პარტიისგან შედგება“, – ეს ექსტრავაგანტული გან- ცხადება პრემიერმა ივანიშვილმა ესტო- ნურ გაზეთ „Postimees“-თან გააკეთა.

შეუძლებელია რეალ-პოლიტიკაში კარ- გად გამობრძმედილი „ნაციონალები“ ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ ხვდე- ბოდნენ. ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტი- კაში გამოჩენის შემდეგ, ამ რანგის ყვე- ლა განაცხადი შეასრულა. თქვა, რომ ის გახდებოდა პრემიერ-მინისტრი – დღეს პრემიერ-მინისტრია; თქვა, რომ „ოცნება“ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევდა – ამას თითქმის ყოველდღიურად ვაკირდებით ქუთაისის პარლამენტის სხდომათა დარ- ბაზში. ჭრელი კოალიციის რომელიმე ნა- წილის ოპოზიციად „დანიშვნა“ ზემოთჩა- მოთვლილზე იოლი ამოცანა უნდა იყოს.

სხვა საკითხია, რამდენად წაადგება მო- ვლენათა ასე განვითარება ქართულ სა- ხელმწიფოს.

ამ დილემას „ნაციონალური მოძრაო- ბის“ ახალგაზრდა, პოლიტიკური კონიუნ- ქტურით ნაკლებად გაცვეთილი ნანილიც უნდა ხედავდეს. მათ და სხვადასხვა თჰინკ თანკაუბში გადანაწილებულ მხარ- დამჭერ ყოფილ ჩინოვნიკებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, „ნაციონალური მოძრაობის“ ნანგრევებიდან თანამედროვე, მობილურ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდ- ნენ.

ახალგაზრდობა ამ შემთხვევაში მხო- ლოდ ასაკს რომ არ ნიშნავს, გასული კვირის კიდევ ერთმა მოვლენამ დაგვანა- ხა. გიგი უგულავა, რომელიც კარგა ხანი პარტიაში პრეზიდენტობის რეალურ კან- დიდატათაც კი განიხილებოდა, „ნაციონა- ლური მოძრაობისთვის“ მორიგ ტვირთად იქცა.

უგულავამ თბილისის მერია ნაბიჯ- ნაბიჯ „ნაციონალური მოძრაობის“ გარე სტრუქტურად აქცია და რესურსებსაც პირდაპირი პარტიული ინტერესებით

ხარჯავდა. ასე მაგალითად, მერიიდან იღებდნენ ანაზღაურებას ე.წ. კომისია-ნატორები, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერთა მობილიზება და არჩევნებში მიცემული ხმების აღრიცხვა ევალებოდათ. პარტიის მიერ ორგანიზებულ წინასაარჩევნო კონფერენციებში კი მერიის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელებად გაფორმებული მსახიობები მონაწილეობდნენ.

გასულ ხუთშაბათს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის მერიის 22 თანამშრომელი დააკავა. მათ დაახლოებით 50 მილიონის ლარის გაფლანგვას ედავებიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნების შემდეგ დაფინანსების წყაროების უმრავლესობა გადაეკეტა, ადვილი მისახვედრია, რა დანიშნულებით გაფლანგვაში ადანაშაულებენ მერიას სამართლდამცავები. თუმცა, სასამართლო წინაა.

თბილისის მერიას სახელმწიფო უწყებებს შორის „ნაციონალური მოძრაობის“ უკანასკნელი ფორპოსტის ფუნქცია თავად გიგი უგულავამ დააკისრა. საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც კმარა, როგორ დაინიშნა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი ოდიოზური ხელმძღვანელი ხათუნა ძერძენიშვილი კრწანისის რაიონის გამგებლად.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IPI) 28 ივნისს გამოქვეყნებული კვლევით ირკვევა, რომ მერის მთავარ ხუთ შეცდომას თბილისელები ამ რიგითობით ალაგებენ: ტრანსპორტის სიძვირე; ადამიანების მიმართ უფლირი დამოკიდებულება; კორუფცია; ბიუჯეტის გაფლანგვა; ის, რომ მერი პოლიტიზებულია.

დაშვებული, ან მომავალში დასაშვები შეცდომების მიუხედავად, გიგი უგულავას პასუხისმგებაში მიცემა „ოცნების“ ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შეიძლება იქცეს: ის პირდაპირი წესით არჩეული მერია. ამ ხარისხის ფორ-

მალური ლეგიტიმაცია, პრეზიდენტ სა-აკავილის გარდა, საქართველოში არავის აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამართლდამცავ სტრუქტურებსა და სასამართლო სისტემაში პოლიტიზირების ხარისხი დიდად არც არჩევნების შემდეგ შეცვლილა, ივანიშვილის მთავრობას გაუქირდება დასავლელი პარტნიორების დარწმუნება, რომ უგულავას სამართლებრივი დევნა პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის.

27 ივნისს საგამოძიებო სტრუქტურების არაპროფესიონალურმა საქციელმა, როცა დილით დაკავებული ადამიანები რამდენიმე საათში გაათავისუფლეს, გვიან სადამოს კი ხელახლა დაადეს ბორკილები, ამ სტრუქტურების მიმართ ვერც ქართულ საზოგადოებაში ნდობის ზრდას შეუწყობდა ხელს და ვერც ნატოს დელეგაციის წევრებზე მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების ხშირმა შეცდომებმა, შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ პრაგმატულ და წარსულით ნაკლებად დისკრედიტებულ ნანილსაც გაუჩინოს მხოლოდ ოპონენტების შეცდომებზე მუდმივად აპელირების ცდუნება. თუმცა, ეს ყოფილი მმართველი პარტიის კრიზისიდან გამოყვანის ეფექტური გზა არ უნდა იყოს. ის, რომ „ქართული ოცნება“ შეცდომებს უშვებს, ბევრს არაფერს მატებს, „ნაციონალურ მოძრაობას“.

ადამიანების წამება დაანაშაულია და არა უბრალოდ შეცდომა. როცა ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში წამების ასობით ფაქტია დოკუმენტირებული, ეს სისტემურ დანაშაულზე მიგვანიშნებს. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ მომავალს, ალბათ, დიდწილად ის განაპირობებს, როგორი გულწრფელობით შეეცდებიან ამ ტრაგედიის მიზეზებში გარკვევას და როგორ ითანამშრომლებენ პოლიტიკურ მოძრენტებთან კონკრეტული დამნაშავეების გამოსავლენად.

ყოველი ცალყბად მოხდილი ბოდიში მათ აქტიური პოლიტიკიდან უფრო და უფრო აშორებს. ■

■ ადამიანების წამება  
დანაშაულია და არა უბრალოდ შეცდომა.  
როცა ქვეყნის ძალოვან  
სტრუქტურებში წამების  
ასობით ფაქტია დოკუმენტირებული, ეს სისტემურ  
დანაშაულზე მიგვანიშნებს. „ნაციონალური  
მოძრაობის“ პოლიტიკურ  
მომავალს, ალბათ, დიდწილად ის განაპირობებს,  
როგორი გულწრფელობით  
შეეცდებან ამ ტრაგედიის  
მიზეზებში გარკვევას და  
როგორ ითანამშრომლებენ  
პოლიტიკურ მოძრენტებთან  
კონკრეტული დამნაშავეების გამოსავლენად.

# იჩანის ახალი მოკომენტი პაზილინში - ჰასან ჩოვანი

14 ივნისს ირანში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჰასან როჰანიმ გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ მის გამარჯვებას არავინ ელოდა, როჰანიმ არჩევნების პირველსავე ტურში ყველა მოწინააღმდეგის დამარცხება 50,71 პროცენტით მოახერხა. მისმა კანდიდატურამ ირანში და მის ფარგლებს გარეთ ახალი იმედები გააჩინა.

ვასო კუჭუხიძე



2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „მწვანე საპროტესტო გამოსვლების“ სახით განვითარებული მოვლენებიდან აშკარა იყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი რეჟიმის მიერ არჩეულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს არ ეთანხმებოდა. თუ-მცა ქვეყანაში არსებული ავტორიტარული რეჟიმიდან გამომდინარე, ექვსი საპრეზი-

დენტო კანდიდატიდან რეჟიმისთვის არასა-სურველი ცენტრისტ-რეფორმისტი როჰანის გამარჯვებას არც ირანში ვარაუდობდნენ და არც მის ფარგლებს გარეთ.

როჰანის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ირანის ყოფილმა პრეზიდენტებმა ჰაშმემი რაფსაჯანიმ (1989-97) და მუჰამედ ჰაფამი (1997-2005). მათ მიერ გამოცხა-



დებულმა მხარდაჭერამ ე.წ. „რეფორმისტი“ ძალები როპანის მხარეს დააყენა. გარდა ამისა, არჩევნებამდე სამი დღით ადრე ჰატა-ტამის თხოვნით საკუთარი კანდიდატურა მოხსნა ზომიერი პოლიტიკის მომხრეთა ბანაკის ლიდერმა მუჰამედ რეზა არეფმა, რათა ხელი არ შეეწყო ხმების გაყოფისთვის. არეფის ამ ნაბიჯმა „რეფორმისტთა“ მთელი

სპექტრი როპანის გარშემო გააერთიანა. სა-ვარაუდოდ, მოსახლეობაში რეუიმის მიმართ არსებულ დიდ უკმაყოფილების მუხტან ერთად როპანის გამარჯვებაში სწორედ ჰატა-ტიმის მიერ კარგად გათვლილმა პოლიტიკურმა სვლამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

რაც შეეხება ჰასან როპანის, ისიც ირანის მმართველი ელიტის ნაწილია და გარედან

მოსული ძალის წარმომადგენელი არ არის. ხუთჯერ იყო მეჯლისის წევრი. ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეროვნული უშიშროების საბჭოს, დღეს კი ამ საბჭოში აიათოლა პამენეის პირადი წარმომადგენელია. ასევე წევრია „ექსპერტთა ასემბლეისა“, რომელსაც ახალი სულიერი ლიდერის არჩევა ევალება, როდესაც პამენეი გარდაიცვლება. თუმცა რეუიმთან ფართო კავშირების მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნებში მას არ გააჩნდა აიათოლა პამენეის კეთილგანწყობა, რომელიც მთელი კამპანიის განმავლობაში დაუფარავად უჭირდა მზარს საიდ ჯალილის. სწორედ ჯალილი მოიაზრებოდა ირანის მომავალ პრეზიდენტად.

წინასაარჩევნო პერიოდში როპანი ხელისუფლების მიმართ ზომიერი კრიტიკით შემოიფარგლებოდა და ძირითად აქცენტს სამოქმედო გეგმაზე აკეთებდა, რომელიც სამ სვეტს ეფუძნება, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, პოლიტიკური შერიგების პროცესის დაწყებას და საერთაშორისო იმიჯის აღდგენას. ის ასევე დაპირდა მოსახლეობას ადამიანის უფლებებზე ზრუნვას და სამოქალაქო თავისუფლებას. ქალებისთვის კი სპეციალური სამინისტროს შექმნის იდეაც გამოთქვა, რომელმაც უნდა იზრუნოს ქალთა უფლებების დაცვაზე, მათზე დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქებასა თუ მოხსნაზე და ქალებისთვის განათლების მიცემის ხელშეწყობაზე.

ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირების შესრულება არ იქნება იოლი საქმე როპანისთვის, რადგანაც მას დიდი გამოწვევა ელის ორი მხრიდან. პირველ რიგში, ირანში ძალაუფლების ძირითადი ბერკეტები მოქცეულია სულიერი ლიდერის ხელში. პრეზიდენტს არ აქვს იუსტიციისა და ძალოვან სტრუქტურებში ხელმძღვანელების დანიშვნა-გადაყენების უფლება. ამ სტრუქტურებში კარგად გამაგრებულ კონსერვატორებთან დაპირისპირების პირობებში კი როპანის ძალიან გაუჭირდება რეფორმების დაწყება, არათუ განხორციელება. გარდა ამისა, ანალიტიკოსთა აზრით, ირანი არასდროს ყოფილა ისე მოქცეული სპეციასახელურების კონტროლის ქვეშ, როგორ დღეს.

რეფორმების გატარება კი სწორედ მათ ინტერესებში არ შედის.

და მეორე, როპანის საქმაოდ რთული მემკვიდრეობა ერგო როგორც ეკონომიკური, ასევე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. საერთაშორისო სანქციებმა ირანის ეკონომიკას დიდი დარტყმა მიაყენა, ნავთობის ექსპორტი განახევრდა, ბანკები საერთაშორისო ტრანზაქციის სისტემიდან თითქმის გამოიდევნა, ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები კი ყოველდღიურად მატულობს. როპანიმ რამდენჯერმე გაუსვა საზო გამოსვლებში, რომ ეკონომიკური აღმასვლის საზო პირდაპირ უკავშირდება სანქციების მოხსნის აუცილებლობას, ეს კი დასავლეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან ერთად დაჯდომას ნიშნავს. ირანში კი კონსერვატიული ძალების მხრიდან ჯერ კიდევ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს კურსი, რომლის მიხედვითაც „დასავლეთთან დათმობაზე არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაიდგას უკან, სანქციებთან კი ირანული ეკონომიკა თანდათან ადაპტირდება.“

როპანის პოზიცია ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანელ კონსერვატორებთან შედარებით მოკრძალებულია. მართალია, ის მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქვეყანას აქვს უფლება იმუშაოს ურანის გამდიდრებაზე, თუმცა მისი განცხადებით, ირანი იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუკი ის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ მიზნებს დასავლეთის კვეყნებთან მოლაპარაკებისა და კომპრომისის სამუალებით განახორციელებს და არა მათთან კონფრონტაციის გზით. ამ მხრივ, როპანის საკმაოდ კარგი პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს, იგი ორი წლის განმავლობაში იყო მთავარი მომლაპარაკებელი ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებში. 2005 წელს საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მიერ ინიციირებულ მოლაპარაკებებში ევროკავშირისა და ირანს შორის, სწორედ ის წარმოადგენდა თეირანს. მაშინ საკითხი ყველაზე ახლოს იყო გადაწყვეტასთან, მაგრამ ირანის ხელისუფლების მაღალი რანგის პირებს კატეგორიულად არ სურდათ დათმობებზე წასვლა. მათი ჩარევის შემდეგ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რო-

**■ მესმის, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს როსული ბუნება აქვს.**  
თოთოულ მხარეს მისთვის ხელსაყრელი - ისტორიული, სამართლებრივი და ა.შ. - არგვემონტები აქვს. მაგრამ ამ კონფლიქტის პლატფორმაც ასპექტები ერთ სიბრტყეში დევს, ხოლო რელიგიური - სულ სხვაში. ამის მტკიცებულებად ის ფაქტიც გამოდგება, რომ, მართალია, რუსეთმა აფხაზების დამოუკიდებლობა აღიარა, მოუხედავად ამისა, რუსულ ეკლესია აფხაზებთს კვლავ ქართულ ეკლესის კანონიერ მფლობელად მიიჩნევს. ანუ საეკლესიო თემა - განსხვავებული გამორჩეული საკითხია.

ჰანი კი პროცესებს ჩამოაშორეს. მიუხედავად მოლაპარაკებების ჩაშლისა ევროკავშირის გარკვეულ წრეებში როპანიმ კეთილგანწყობა მოიპოვა.

დღეს კი დასავლეთის პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში როპანის გამარჯვებამ ურთიერთსანინაალმდეგო რეაქციები გამოიწვია. მათი დიდი ნაწილი არჩევნების შედეგებს ფრთხილი ოპტიმიზმით შეხვდა. თავად ბარაკ ობამამაც ერთ-ერთ გამოსვლაში იმედი გამოიტვა, რომ ეს ხელს შეუწყობს მოლაპარაკებების განახლებას. ირანით დაინტერესებულ ანალიტიკოსთა უმრავლესობაც ვარაუდობს, რომ ზომიერი პოლიტიკური კურსის მომხრე როპანის გაპრეზიდენტება ხელს შეუწყობს არამარტო ბირთვული პრობლემის დიპლომატიური გზებით მოგვარების პროცესების დაწყებას, არამედ ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასაც სასიკეთოდ წაადგება. სირიის მიმართ როპანის მიერ გაკეთებული გან-

ცხადება, „სირიელმა ხალხმა მშვიდობიანი გზითა და არჩევნების საშუალებით უნდა მოახდინოს მათთვის სასურველი ძალის მოყვანა ხელისუფლებაში“, დასავლეთის-თვის იმედისმომცემი აღმოჩნდა, რომ ირანი ასადის რეზიმის გადასარჩენად სისხლისღვრას მხარს აღარ დაუჭქრს.

ამერიკელი ნეოკონსერვატორები და ისრაელის მხარდამჭერები კი ირანის საპრეზიდენტო არჩევნებით დაიმედებულ პოლიტიკოსებსა თუ ანალიტიკოსებს მიამიტებად ნათლავენ. მათი აზრით, ირანი უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენჯერმე ძალიან ახლო იყო სამხედრო ოპერაციების საფრთხის წინაშე, რამაც თეირანს სტრატეგიის შეცვლა აიძულა. სწორედ ამ შეცვლილი სტრატეგიის შედეგია როპანი, რომელიც მოლაპარაკებების აღდგენის იმედით ავსებს დასავლეთს, ეს კი ირანს დროის მოგების საშუალებას აძლევს, რათა ბირთვულ იარაღზე მუშაობა დაასრულოს. **■**

■ ირანით დაინტერესებულ ანალიტიკოსთა უმრავლესობაც ვარაუდობს, რომ ზომიერი პოლიტიკური კურსის მომხრე როპანის გაპრეზიდენტება ხელს შეუწყობს არამარტო ბირთვული პრობლემის დიპლომატიური გზებით მოგვარების პროცესების დაწყებას, არამედ ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასაც სასიკეთოდ წაადგება. სირიის მიმართ როპანის მიერ გაკეთებული გან-

*Radio Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რალი

*Commersant.ge*



# სიყვარუს ეს ძალამობას შორის

სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის მონაცემებით, 2012 წელს

ოჯახური ძალადობის 766 შემთხვევა მოხდა, ამათგან 621

შემთხვევაში მსხვერპლი ქალი იყო, 145-ში – მამაკაცი. თუმცა  
სომხეთში დღემდე არ არსებობს კანონი იჯახური ძალადობის  
შესახებ, რომლის მიღებასაც აუცილებლად თვლიან გენდერულ  
თემებზე მომუშავე ორგანიზაციები.

## კარინე ასატრიანი

ბიჭს, რომელსაც საკმაოდ დიდხანს ვხ-  
დებოდი, მმვიდი, განონასწორებული ხა-  
სიათი ჰქონდა, მაგრამ ერთხელ, როცა  
სასიამოვნო მუსიკის ფონზე ფრანგულ  
ლევინოს ვწრუპავდით, შარვლიდან ქამარი  
გამოიძრო და ისეთი გამეტებით დამინტი-  
ცემა, მოულოდნელობისგან დავმუნჯდი.

მიზეზი კი ის იყო, რომ ლვინომოკიდე-  
ბულმა ვუამბე, ამერიკიდან ერთი ბიჭი  
ჩამოვიდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ  
ცოლობას მთხოვდა-მეტე.

– ესე იგი, მასაც ხვდებოდი, არა? –  
ლრიალებდა ჩემი მეგობარი. რაღაცას ვუ-  
ხსნიდა, მაგრამ არც მისმენდა.

ფიზიკური ტკივილი იარების მოშუშე-  
ბასთან ერთად გადის. მაგრამ სულის იარა  
კიდევ დიდხანს რჩება ტკივილად. ჩემს მეგობარ ბიჭს ჭკუა ეყო და ამ შემთხვე-  
ვის მერე აღარც უცდია ჩემი დარწმუნება,  
რომ ვუყვარდი და ჩვენი ერთად ცხოვრება  
შესაძლებელი იყო.

ფიზიკურმა ძალადობამ ჩაკლა სიყვა-  
რული, რომელიც გაღვივებას მხოლოდ  
იწყებდა. მე იმ ქალებს არ მივეკუთვნე-  
ბი, რომლებსაც ქმრისთვის ან საყვარელი

ადამიანისთვის ძალადობის პატიება შეუ-  
ძლიათ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „სა-  
ზოგადოება ძალადობის გარეშე“ ხელმძღ-  
ვანელს ლიდა მინასიანს ჩემს ნამბობზე  
გაეღიმა და ღიმილითვე მითხრა, გამო-  
რიცხული არ არის, შევრიგებოდი კიდეც,  
ყვავილების თაიგულით და არაჩეულე-  
ბრივი საჩურიოთ კარზე რომ მოგდგომოდა  
და პატიება ეთხოვა. ლიდა თვლის, რომ  
მე, ათასობით სხვა ქალის მსგავსად, შემე-  
ძლო მისთვის მეპატიებინა. თუმცა იმასაც  
დასძენს, რომ ამის მერე ძალადობის სცე-  
ნები არაერთხელ გამეორდებოდა.

„ოჯახური ძალადობის ციკლი სწორედ  
ასე იწყება,“ – მიხსნის ლიდა მინასიანი,  
რომელსაც, როგორც სოციალურ მუშაქს,  
ათობით ისეთ ქალთან უსაუბრია ამ თემა-  
ზე, ვინც იჯახური ძალადობის მსხვერპლი  
გახდა. ლიდა ყვება, რომ ამ ქალებიდან ძა-  
ლიან ცოტა ადანაშაულებს საკუთარ ქმრე-  
ბს, მათ გამართლებასაც კი ცდილობენ,  
რადგან „თუ ამის მერე შეუძლია ძალიან  
თბილი და ყურადღებიანიც იყოს, ესე იგი,  
საქმე არც ისე ცუდადა.“ ასეთ დროს

■ სომხეთის რესპუბლიკის  
პოლიციის მონაცემებით,  
2012 წელს ოჯახური ძალა-  
დობის 766 შემთხვევა მო-  
ხდა, ამათგან 621 შემთხვე-  
ვაში მსხვერპლი ქალი იყო,  
145-ში – მამაკაცი.

ქალები ბოდიშის ხდის და სინანულის იმ სცენებს გულისხმობენ, რომლებიც ცემას მოსდევს.

„ქალი ვერ აცნობიერებს, რომ ეს კარგი ქცევა საძაგელი საქციელის გამოსყიდვის სურვილითაა განპირობებული,“ – ამბობს ლიდა. თავადაც ახალგაზრდა ქალია, და არ სჯერა, რომ მამაკაცს შეუძლია საყვარელ ქალზე ხელი აღმართოს თუ აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფება. ამნაირი საქციელის გამართლებად ვერც ეჭვიანობა, ვერც ნერვებაშლილობა ან ფინანსური შეჭირვება გამოიდგება.

„თუ თვლით, რომ თქვენი ცოლი ის ქალი არ გამოდგა, როგორადაც ქორწინებამდე ნარმოგედგინათ, გაეყარეთ“, – ურჩევს ხოლმე ჩვეულებრივ ლიდა ქმრებს.

ძალიან ცოტა კაცი აღიარებს, რომ ქალზე ხელის აღმართვა შეუძლია. ორმოცდაათი წლის კაცმაც კი, რომელიც სისტემატურად უსწორდება ფიზიკურად თავის მეუღლეს, ჩემთან საუბარში აღნიშნა, საკუთარი თავის პატივისმცემელი არც ერთი კაცი არ იკადრებს, „სუსტი სქესის ნარმომადგენელს“ დაარტყასო. საკუთარი სიყვარულის გამორჩეულობის ნიშანად ის არგუმენტი მოაქვს, რომ „ცოლის“ მოთვინიერება უფრო ლმობიერი ხერხებითაც შეუძლია. პო, მართლა: ამგვარი აზროვნების მამაკაცები სილის განვნას ძალადობად კი არა, აღზრდის მეთოდად თვლიან. აღზრდის მეთოდად თვლიან ათასგვარ აკრძალვებს („არ შეიძლება“), რომელთაც მამაკაცი საყვარელ ქალს პირობად უყენებს.

არ შეიძლება ძალიან გულამოლებული ან მოკლე ტანისამოსის ჩაცმა;

არ შეიძლება უცნობი მამაკაცისთვის გაღიმება;

არ შეიძლება სოციალურ ქსელებში უცნობებთან ურთიერთობა;

არ შეიძლება ქმართან შეკამათება;

არ შეიძლება ქმრის კითხვებით შეწუხება, თუ შინ მთელი ლამე არ გამოჩენილა და ა.შ.

25 წლის უცოლო, უმაღლესი განათლების მქონე არტური თვლის, რომ ქალს

იმდენივე უფლება უნდა ჰქონდეს, რამდენიც მამაკაცს. მარნმუნებს, რომ ოჯახურ პრობლემებს ცივილიზაციულად გადაჭრის, ძალადობის გარეშე. მოგვიანებით ჩვენი საუბრისას კი აღნიშნა, რომ არ ისურვებდა, თავისი რჩეულის საყვედურები ესმინა, თუკი ქალი მისი „ნუთიერი გატაცებების“ შესახებ შეიტყობდა. კითხვას, აპატიებდა თუ არა თავადაც ლალატს, არტური აშკარად არ მოელოდა. „იცით, მაინც ... კაცის დალატი სხვაა, ქალის – სულ სხვა,“ შაბლონური პასუხი გამცა არტურმა, რომელსაც პროფესიული კუთვნილების გამო კულტურის სფეროს ადამიანებთან აქვს ურთიერთობა, როგორც ითვლება, სხვებთან შედარებით თავისუფალი აზროვნების ადამიანებთან.

სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის მონაცემებით, 2012 წელს ოჯახური ძალადობის 766 შემთხვევა მოხდა, ამათგან 621 შემთხვევაში მსხვერპლი ქალი იყო, 145-ში – მამაკაცი.

ქალთა დამარების ცენტრის დირექტორი მარო მატოსიანი თვლის, რომ ქალებზე ძალადობის შემთხვევები სინამდვილეში გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ მრავალნლიანი ფიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებს ამაზე საუბრის, და მით უფრო, პოლიციაში განცხადების ეშინიათ.

„ქალებს, რომლებიც ძალადობას საკუთარ თავზე განიცდიდნენ, გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, რადგან დროში განელილი ძალადობა მათ „ეგოს“ ძლიერ თრგუნავს,“ ამბობს მარო მატოსიანი და დასტენს, რომ წლების განმავლობაში მათ ტვინი ისე „ერეცხებათ“, რომ ტირანისგან გაქცევის მცდელობაც არ აქვთ.

სომხეთში არ არსებობს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ, რომლის მიღებასაც აუცილებლად თვლიან გენდერულ თემებზე მომუშავე ორგანიზაცია „კანონმა მსხვერპლი უნდა დაიცვას, მნაგრძლელი კი – დასაჯოს. სანამ ასეთი კანონი არ გვაქვს, სიტუაცია ვერ გამოსწორდება, დამძიმებით კი შეიძლება დამძმდეს,“ – ამბობს მატოსიანი.

■ სომხეთში არ არსებობს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ, რომლის მიღებასაც აუცილებლად თვლიან გენდერულ თემებზე მომუშავე ორგანიზაცია „კანონმა მსხვერპლი უნდა დაიცვას, მნაგრძლელი კი – დასაჯოს. სანამ ასეთი კანონი არ გვაქვს, სიტუაცია ვერ გამოსწორდება, დამძიმებით კი შეიძლება დამძმდეს,“ – ამბობს მატოსიანი.

ქალთა დახმარების ცენტრმა პრობლემურ ურთიერთობებში გასარკვევად ქალებისთვის სახელმძღვანელო გზამკვლევი გამოსცა.

სახელმძღვანელოს მიხედვით, მამაკაცს უყვარს ქალი, როცა ქალი მასთან თავს დაცულად და მყუდროდ გრძნობს, უსმენს მას, გულწრფელია მასთან, საკუთარი შეცდომების გაცნობიერება შეუძლია; თუ მამაკაცი მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობას არ უკრძალავს, ენდობა ქალს, მხარს უჭერს და ამხნევებს, ისეთად იღებს, როგორც არის.

ამავე ტექსტის მიხედვით, მამაკაცს არ უყვარს ქალი, თუკი ზედმეტად ეჭვიანია, ძალაუფლებისმოყვარე, ქალის გაკონტროლებას ცდილობს, მუდამ მას ადანაშაულებს, ქალის სურვილისგან დამოუკიდებლად ითხოვს მისგან ინტიმურ სიახლოვეს, თრგუნავს, ამცირებს, სხვების თანდასწრებით დასცინის, ურტყამს, ცემს, აშინებს, ართმევს ფულს, ატირებს, მიტოვებით ემუქრება, თუკი ქალი მის ნებას არ დაჰყვება და იმას არ გააკეთებს, რაც მას სურს.

შესაძლებელია კი ურთიერთობათა რთულ სამყაროში ამ სახელმძღვანელოთი გზის გაკვლევა?

ქალთა დახმარების ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ ეს სახელმძღვანელო მას მერე მომზადდა, რაც გამოკითხვებმა უჩვენა, რომ ახალგაზრდებს შორის ძალიან ცოტას ესმის, რას ნიშნავს პატივისუებასა და თანასწორობის განცდაზე დაფუძნებული ჯანსაღი ურთიერთობა. „არა, რა თქმა უნდა, ტექსტი შეიძლება საკამათოც გახდეს. მასში მხოლოდ ჯანსაღი ურთიერთობის საფუძვლებია მომცემული,“ – ამბობს მატოსიანი.

ცენტრის ერთ-ერთი ბენეფიციარი, ანა (სახელი არ შეგვიცვლია), ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. ანა ძლიერს მეტყველებს, ჯერ გადატანილი სტრესი არ დაუძლევია და ჩემთან საუბრისთვის მზად არ არის. თუმცა, ერთი რამ ზუსტად იცის – ძალადობა და სიყვარული ერთმანეთს ვერ ეთავსება.

არც ისე დიდი ხნის წინ ერთი სამოცინლის კაცის დაკრძალვაზე ვიყავი. განს-

ვენებული მექაცრი, ჯიუტი ადამიანი იყო. ცოლი სამი წლის წინ, მოულოდნელად გარდაეცვალა. ცოლის სიკვდილის შემდეგ მის ცხოვრებას აზრი დაეკარგა, გარდაცვალების მიზეზიც გულის შეტევა იყო. სიკვდილამდე საზოგადოებას სრულიად ჩამოშორდა, კი არ ცხოვრობდა, არსებობდა. ცხოვრებით მხოლოდ ცოლზე მოგონებებით ცხოვრობდა. ცოლზე, რომელზეც მის სიცოცხლეში მუდამ ძალადობდა. „შენ იყავი ჩემი ანგელოზი, რომელიც დავკარგე. მალე მოვალ შენთან,“ გარდაცვლილი ცოლისადმი მიძღვნილი ასეთი სიტყვები დაწერა სიკვდილის წინ დატოვებულ წერილში.

ნათესავები ამბობდნენ, რომ მან სიყვარულის ნაკლებობას ვეღარ გაუძლო. სიცოცხლეში ტირანი იყო, მერე – ახალი კანდიდატურის (მსურველებიც იყვნენ, თან არაერთი) რჩევას და მასთან ცხოვრებას ის არჩია, ამ ქვეყნიდან წასულ ცოლს მიწეოდა, იმ ფაქიზ არსებას, რომელიც შეეძლო დაემახინჯებინა კიდეც, ოღონდ მისთვის ქუჩაში სხვა მამაკაცებს არ ეყურებინათ.

გენდერული პრობლემებისადმი მიძღვნილ გზამკვლევში ასეთ შემთხვევაზე ერთი სტრიქონი არ მინახავს.

თუ „არსიყვარულის“ აღწერაში ერთი ან რამდენიმე მსგავსებას მაინც იპოვით თქვენს ურთიერთობებთან, მაშინ შეიძლება თქვენ ძალადობის პოტენციური მსხვერპლი გახდეთ.

და მაინც: ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული ქალი ძალადობის მსხვერპლი იყო, მისი მოძალადე ქმარი კი, რომელმაც ცოლის დაკარგვა ვერ გადაიტანა – სიყვარულმა იმსხვერპლა. **■**

## HEINRICH BÖLL STIFTUNG საზოგადი კავშირი

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ხსენებული ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხელის“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, არ თანხმდებოდეს უკრნალის რედაქციისა და ბიოლის ფონდის პოზიციას.

## სამართალი



# სისხლის სამართლის ახალი პოლიტიკა

რა ნაბიჯები გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის  
გასაჯანსაღებლად? იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების  
წარმომადგენლები და ექსპერტები როგორც დადებით, ისე  
უარყოფით ტენდენციებზე მიუთითებენ.

## ზურაბ ვარდიაშვილი

„შეიზღუდება პროკურატურის განუსაზღვრელი უფლებამოსილება. გამოძიებისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის ეტაპზე ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება.“

„გაძლიერდება ადვოკატურის ინსტიტუტი, რათა სრულად ამოქმედდეს შეჯიბრებითობის პრინციპი და ბოლო მოელოს პროკურორის დიქტატს გამოძიების ეტაზზე და სამართალწარმოების პროცესში.“

„უზრუნველყოფილი იქნება სასჯელის მოხდის რეჟიმის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა სრული დაცვა.“

„ათასობით უკანონოდ თავისუფლებაა-დკვეთილის დარღვეული უფლებების აღსადგენად გონივრულ ვადებში გადაისინ-ჯება მათი საქმეები.“

„გადაიხედება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნარკო-ტიკული საშუალების მოხმარებისათვის, აგრეთვე პირადი მოხმარებისათვის მისი მცირე ოდენობით შეძენის ან შენახვისათვის.“

„დადგინდება სასჯელად გამოყენებული ფულადი ჯარიმის ზედა ზღვარი.“

ესაა ამონარიდები პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამიდან. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის გავალნალების დაპირება პროგრამის პრიორიტეტების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი გახდათ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკა ამომრჩევლის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა.

■ შეკრებითობის პრინციპის გაუქმება არ ნიშნავს, რომ მსჯავრდებულებს, რომელთა სასჯელები ამ პრინციპით დაითვალა, პატიმრობის წლები აგრო-მატურად ჩამოაკლებათ. თითოეულმა მათგანმა, სასამართლოს ინდივიდუალურად უნდა მიმართოს და საკუთარი საქმის გადახე-ვა ითხოვოს. ამ უფლების შესახებ ყველა პატიმარი ინფორმირებულია და მათი აპსოლუტური უმრავლე-სობა საქმის გადახედვას ითხოვს, რაც საკმაოდ შრომეტვადი და დროში გაწელილი პროცესია.

■ ადვოკატ ლევან საჭა-  
შასა თქმით, როდესაც  
ჩხრეკისა და ამოღების  
მითხოვნით სასამართლო-  
სადმი მიმართვის უფლება  
დაკანონდება, მაშინაც კი  
ამოღებული მტკიცებუ-  
ლება გამოსაკლევად ჯერ  
პროკურორს უნდა გადაუ-  
ცეს. „ეს წარმოუდგენლად  
არამრთებული მიღომაა“,  
– ამბობს ადვოკატი. მისი  
აზრით ეს წესი დაცის  
სტრატეგიის დაგემვასა და  
განხორციელებაზე უარყო-  
ფითად იმუქმედებს.

რა ნაბიჯები გადაიდგა სისხლის სა-  
მართლის პოლიტიკის გასაჯანსაღებლად  
თუნდაც საარჩევნო პროგრამის პრინცი-  
პების დონეზე? იურისტები, არასამთა-  
ვრობო ორგანიზაციების წარმომადგენ-  
ლები და ექსპერტები როგორც დადებით,  
ისე უარყოფით ტენდენციებზე მიუთითე-  
ბენ.

ადვოკატი დავით ასათიანი კოალიცია  
„დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მარ-  
თლმსაჯულებისთვის“ თავმჯდომარეა.  
ის „ლიბერალთან“ სამართალწარმოების  
თვალსაზრისით მიღწეულ პროგრესზე  
საუბრობს: „ის, რომ ყველა დანაშაულ-  
ზე პროკურატურა აღმკვეთ ღონისძიე-  
ბად პატიმრობას აღარ ითხოვს, და მის  
მაგიერ გირაოს ან თავდებობას იყენებს,  
ხოლო რიგ შემთხვევაში ამ ღონისძიებას  
საერთოდ აღარ მიმართავს, დადებითი  
ტენდენციაა“. იურისტის თქმით, სასამარ-  
თლო პრაქტიკაც შეცვლილია და პროკუ-  
რატურის მოთხოვნა, წინასწარი პატი-  
მრობა გამოეყენებინათ პარალებულის  
წინააღმდეგ უფრო და უფრო ნაკლებად  
კმაყოფილდება.

სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი  
შთანთქმის ან ნაწილობრივ შთანთქმის  
პრინციპით შეიცვალა. „სასჯელთა შეკრე-  
ბითობის გამო პარადოქსულ შედეგს ვლე-  
ბულობდით – რამდენიმე ნაკლებად მძიმე  
დანაშაულის ჩამდენს უფრო დიდი სასჯე-  
ლი გამოსდიოდა, ვიდრე ერთ მძიმე დანა-  
შაულში ბრალდებულს. ეს კი საზოგადოე-  
ბაში უსამართლობის განცდას ტოვებდა.“  
– ამბობს ასათიანი. ახალი პრინციპი ერ-  
თგვაროვანი დანაშაულის რამდენჯერ-  
მე ჩადენისას უმაღლესი სასჯელის მიერ  
დანარჩენების სრულად ან ნაწილობრივ  
შთანთქმას გულისხმობს.

შეკრებითობის პრინციპის გაუქმება არ  
ნიშნავს, რომ მსჯავრდებულებს, რომელ-  
თა სასჯელები ამ პრინციპით დაითვალა,  
პატიმრობის ნლები ავტომატურად ჩამო-  
აკლდებათ. თითოეულმა მათგანმა, სასა-  
მართლოს ინდივიდუალურად უნდა მი-  
მართოს და საკუთარი საქმის გადახედვა  
ითხოვოს. ამ უფლების შესახებ ყველა პა-

ტიმარი ინფორმირებულია და მათი აპსო-  
ლუტური უმრავლესობა საქმის გადახედ-  
ვას ითხოვს, რაც საკმაოდ შრომეტევადი  
და დროში განელილი პროცესია.

საპროცესო შეთანხმების დროს გამოყე-  
ნებული თანხის ზედა ზღვარი ჯერჯერო-  
ბით განსაზღვრული არ არის.

ნარკოპოლიტიკა ჯერ კიდევ რჩება ჩვე-  
ნი კანონმდებლობის სუსტ წერტილად.  
ნარკომომხმარებლებისადმი ეროვნული  
სამართლადამცავი სისტემის მიღვმა სა-  
ბჭოთა კავშირის დროინდელს უფრო ჰგა-  
ვს. იუსტიციის სამინისტრო ამ მხრივ მუ-  
შაობას განაგრძობს, თუმცა ხელშესახები  
შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ 25 ივნისამდე ქვეყა-  
ნაში სისხლის სამართლის პოლიტიკის  
მთავარი განმსაზღვრელი იუსტიციის  
სამინისტრო იყო. მინისტრი კი ქვეყნის  
პირველ პროკურორად ითვლებოდა. თუ-  
მცა, უკვე ერთი კვირაა, საკანონმდე-  
ბლო ცვლილებების მიხედვით, ყველაზე  
მაღალი იერარქიის პროკურორად მთა-  
ვარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი  
იქცა. ცხადია, იუსტიციის სამინისტროს  
სისხლის სამართლის პოლიტიკაში გა-  
რკვეული ცვლილებების შეტანის უფლე-  
ბამოსილება დარჩა, თუმცა ეს უფლე-  
ბამოსილება იმ დონის არ არის, რაც  
სამინისტროს ერთი კვირის წინ გააჩნდა.

ადვოკატების აზრით ყველაზე მნიშ-  
ვნელოვანი დაპირება, დაცვის მხარისა  
და პროკურატურის თანაბარ პირობებში  
ჩაყენება იყო. სისხლის სამართლის ახა-  
ლი საპროცესო კოდექსის მიღების შემ-  
დეგ შეჯიბრობითობის პრინციპი დაინერ-  
გა. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი  
და ადვოკატი პროცესზე თანასწორ სუ-  
ბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ, თუმცა  
მაშინ, როდესაც პროკურატურა სახელ-  
მნიშვნელოვანი გამოიყენება, გააჩნია ბევრი შესაძლე-  
ბლობა და რესურსი, ხოლო ადვოკატები  
კერძო პირები არიან და მათი რესურსე-  
ბი პროკურატურისას არც კი შეედრება,  
საკანონმდებლო გარანტიებს უდიდესი  
მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ასეთი გარანტიების და-

ბლოკვამ გამოიწვია ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ზაზა ხატიაშვილის მკვეთრად კრიტიკული რეაქცია, რაც მის მიერ ხელისუფლებისადმი მიმართულ ღია წერილში გამოიხატა: „სამართლიანი სასამართლოს პრინციპები განერილია ევროპული კონვენციის 6 მუხლში „სამართლიანი სასამართლოს უფლება“. რაც გულისხმობს, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ ეკუთვნის ხალხს და ხელისუფლება და პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს იგი ხალხისთვის. ევროპული კონვენციის 6 მუხლის თანახმად სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ვინც არ იცით რა არის მხარეთა თანასწორობა გეტყვით, რომ ეს არის პროკურორების და ადვოკატების თანასწორუფლებიანობა. პარლამენტის სხდომაზე, თქვენ მხარი დაუჭირეთ ადვოკატის უფლებების შეზღუდვას და პროკურორის უფლებების გაზრდას“ – წერს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი.

საუბარია ჩერეკისა და ამოღების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე, რაც ადვოკატებს 2014 წლამდე გადაუვადდათ. გადავადდა მოწმის სასამართლოში დაკითხვის ახალი წესიც, რომელიც ადვოკატებს წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდათ. ეს ცვლილებები თავდაპირველი განზრახვით 2013 წლის შემოდგომაზე უნდა ამოქმედებულყო.

ადვოკატ ლევან სამუშიას თქმით, როდესაც ჩერეკისა და ამოღების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დაკანონდება, მაშინაც კი ამოღებული მტკიცებულება გამოსაკვლევად ჯერ პროკურორს უნდა გადაეცეს. „ეს წარმოუდგენლად არამართებული მიდგომაა“, – ამბობს ადვოკატი. მისი აზრით ეს წესი დაცვის სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში წამებისა და წამების მსხვერპლთა უფლებები უაღრესად აქტუალურია, საპროცესო

კანონმდებლობა ამ კუთხით სრულიად მოუწესრიგებელია. ეროვნული კანონმდებლობით მსხვერპლს რაიმე მნიშვნელოვანი უფლება არ გააჩნია. არ შეუძლია გამოძიების მასალების მოპოვება. არ აქვს უფლება რომ წავიდეს სასამართლოში და გასაჩივროს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მის მნამებელს ვთქვათ, ექვსი თვე მიესაჯა (რაც მოხდა კიდეც ე.წ. „ციხის ჯალათების“ საქმის წარმოების დროს)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი მარიამ ჯიშვარიანი პრემიერ-მინისტრ - ბიძინა ივანიშვილს, იუსტიციის მინისტრ - თეა წულუკიანს და პარლამენტის თავმჯდომარე - დავით უსუფაშვილს მიმართავს და ითხოვს „განისაზღვროს წამების მსხვერპლის, დაზარალებულის უფლება. ჰქონდეს ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებთან ჰქონდეს პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, წამებისა და სამოხელეო დანაშაულის შესახებ განმცხადებელი, მსხვერპლი დაზარალებულად მიჩნეულ იქნეს განცხადების გაკეთების მომენტიდანვე.“

ხელისუფლების ცვლილებიდან ზუსტად ცხრა თვე გავიდა. შესაძლოა კამათის საგანი იყოს თუ რამდენად შეიძლებოდა ამ ხნის განმავლობაში ისეთი ყოვლისმომცველი სფეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, როგორიც სისხლის სამართლის პოლიტიკაა, თუმცა ნათელია, დინამიკა დადებითთან ერთად მრავალ უარყოფით ტენდენციასაც შეიცავს. 



სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს.

აომარხანი

# თავისუფლაბა მხოლოდ თავისუფლაბით იიღოვანა

ლელა რეზონშვილი



ხელისუფლების წარმომადგენლები მია-  
მიტური გაკვირვებით კითხულობენ, რა-  
ტომ აპროტესტებენ განათლების კანონში  
შესატან ცვლილებას უნივერსიტეტები და  
სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი მაშინ,  
როდესაც ეს ცვლილება ბევრს არაფერს  
ცვლის და, თანაც, მთავრობა აღნიშნული  
საკანონმდებლო ცვლილებების „ბორო-  
ტად“ გამოყენებას არ აპირებს.

სამთავრობო მიდგომას ორი ხარვეზი  
აქვს, – დაინტერესებული მხარეები არ  
არიან ჩართული ცვლილებების შემუშავე-  
ბის პროცესში; და მეორეც, თავად ცვლი-  
ლებები ავტონომიის გაზრდის ნაცვლად  
პოლიტიკური ზენოლის ერთი ხელიდან მე-  
ორე ხელში გადასვლას ითვალისწინებს.

ეს გაუგებრობა სწორედ იმის ბრალია,  
რომ ჩვენ ვერ ვთანხმდებით იმაზე, თუ რა  
არის უნივერსიტეტის პრობლემა. ცვლილე-  
ბის მხარდამჭერთათვის პრობლემა „ცუდი,  
მავნე, არასასურველი“ პოლიტიკური ზენო-

ლაა. როცა პრობლემა ასე სახელდება გა-  
მოსავალიც შესაბამისია – შევცვალოთ  
„ცუდი“ ზენოლა „კარგი, ლეგიტიმური,  
სამართლიანი“ ზენოლით, და მხოლოდ მას  
შემდეგ ვიფიქროთ დანარჩენ ცვლილებე-  
ბზე. ჩემი გადმოსახედიდან კი პრობლემა  
თავად ზენოლაა და არც ერთი პოლიტი-  
კური გავლენა არ შეიძლება იყოს „კარგი  
ან მისალები“. შესაბამისად, თუ პრობლემა  
ზენოლაა, ზენოლის განმახორცილებელთა  
სახელების ან თანამდებობების გადათამა-  
შების მაგივრად თავად ზენოლა უნდა მო-  
ვხსნათ.

მიზანი საშუალებას არ ამართლებს  
სახელმწიფო მიდგომა, სამწუხაროდ,  
ორიგინალური არ არის. ის ნაცად ხერხს  
ეყრდნობა და ირიბად თუ პირდაპირ გვა-  
მცნობს, რომ უნივერსიტეტებში უსამარ-  
თლობაა გაბატონებული, ადმინისტრაცია,  
ლექტორები და შეიძლება სტუდენტებიც



მეოცე საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკთა დისკურსი და სამოქმედო გეგმა ისეთი-ვე პრინციპებს ეყრდნობოდა, როგორსაც დღეს ჩვენი მთავრობა. იმ დროის ყველაზე პროგრესული სოციალისტური იდეა კლას-თა შორის უზარმაზარი უთანასწორობის, მუშათა ექსპლოატაციის, სილარიბის, იერარქიების წინააღმდეგ ილაშქრებდა და ჩაგრული მასების გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ბოლშევიკთა მიერ დასახელებული მიზნები ჰუმანურიც იყო და ღირებულიც. თუმცა ამ მიზნების განხორციელების გზაზე კომუნისტები ისევე არ ენდობოდნენ იმ მასებს, რომელთა გათავისუფლებისთვისაც იპროტოლინენ, როგორც ჩვენი მთავრობა არ ენდობა იმ უნივერსიტეტებს რომლებსაც „პრობლემები“ უნდა მოუგვაროს. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ რუსეთში მუშათა კლასი და გლეხობა განუვითარებელი და ჩამორჩენილი იყო, და თავად ვერ მოახერხებდნენ რევოლუციის მოწყობას და საკუთარი თავის მართვას. ამიტომაც აუცილებელი იყო ბიუროკრატიის, ანუ კომუნისტური პარტიის დიქტატურის დამყარება „გარდამავალ პერიოდში“. ანუ მასები უნდა გაეთავისუფლებინათ დიქტატურისგან დიქტატურით.

მეცნარამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ბოლშევიკურ რევოლუციამდე, ან უფრო სწორად რომ ვათქვათ ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ბევრად ადრე, ანარქისტი მოაზროვნე ბაკუნინი ძალიან კარგად ხსნიდა ამ მიდგომის ახლომხმადობას და ფარისევლობას.

„რევოლუციური დიქტატურა და ბურუუზუაზიური სახელმწიფო სინამდვილეში ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში ფუნდამენტური პრინციპი მსგავსია. ამ პრინციპის მიხედვით უმცირესობა მართავს უმრავლესობას უმცირესობის „სულელობის“ და უმრავლესობის „ინტელიგენტობის“ სახელით. ამიტომაც დიქტატორი რევოლუციონებს სურთ, გააძევონ არსებული მთავრობა მხოლოდ იმისთვის რომ მათი ადგილი თავად დაიკავონ.“

ჩვენ ვპასუხობთ, რომ ნებისმიერი სახის დიქტატურას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს

ნდობას არ იმსახურებენ. ამიტომაც, „გარდამავალ“ პერიოდში გვჭირდება „ძლიერი ხელი“ რომელიც სამართლიანობას აღადგენს და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ „დანარჩენ“ ცვლილებებზე. ამგვარი მიდგომის მომხრეებისთვის საშუალებას, ან მიზნის მიღწევის მეთოდებს და საფეხურებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ისინი იმდენად დაიღალნენ უსამართლობით, რომ მზად არიან „სამართლიანობის აღდენა“ რომელიმე ერთ ძალას ჩააბარონ.

ვფიქრობ, საშუალება თავად არის მიზანი და მინდა ორი მაგალითი მოვიყვანო ამ განცხადების მხარდასაჭერად.

## პირველი – პროლეტარიტის დიქტატურა

ალბათ, არ გაგიკვირდებათ თუ იმ ლოგიკის ასახსნელად, რომლის მიხედვითაც მიზანი ამართლებს საშუალებას, მაგალითად საბჭოთა კავშირის შექმნას მოვიყვან.

■ ამ მიზნების განხორციელების გზაზე, კომუნისტები ისევე არ ენდობოდნენ იმ მასებს რომელთა გათავისუფლებისთვისაც იპროტოლინენ, როგორც ჩვენი მთავრობა არ ენდობა იმ უნივერსიტეტებს რომლებსაც „პრობლემები“ უნდა მოუგვაროს. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ რუსეთში მუშათა კლასი და გლეხობა განუვითარებელი და ჩამორჩენილი იყო, და თავად ვერ მოახერხებდნენ რევოლუციის მოწყობას და საკუთარი თავის მართვას. ამიტომაც აუცილებელი იყო ბიუროკრატიის, ანუ კომუნისტური პარტიის დიქტატურის დამყარება „გარდამავალ პერიოდში“. ანუ მასები უნდა გაეთავისუფლებინათ დიქტატურისგან დიქტატურით.

■ როცა ხელისუფლება ერთხელ შემუშავებს ზენოლის მეთოდებს და წინააღმდეგობას არ წააწყდება, გარდაუვალია ამ მეთოდების „დავინუბა“ და კანონიერი მოქმედება გარდამავალი პერიოდის შემდეგ. სინამდვილეში ჩვენ „მუდმივად გარდამავალ“ პერიოდში ჩავრჩით. როცა ნაცმოძრაობას ახალი თანხების „ამოღება“ დასჭირდა, ძველი კორუმპირებული მოხელეები კი გამოეღლია, მარტივად გადავიდა ყველა სხვა პიზნესმენის, მათ შორის თავად ნაცმოძრაობასთან დაახლოებული პირების თუ კომპანიების დაპატიმრებასა და რესურსების გამოძალვაზე. 9 წლის თავზე კი მივიღეთ მონიპოლიზრებული კონკრეტურა, რომელიც ნაცმოძრაობის თითზე ჩამოსათვლელი წევრების ხელში იყო მოქცეული. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკურად გარიყელი და იზოლირებული აღმოჩნდა.

— საკუთარი თავის გადარჩენა და შენარჩუნება. მონიბა ერთადერთი რამაა რისი მოტანაც მას შეუძლია ხალხისთვის. თავისუფლება შეიძლება შევქმნათ მხოლოდ თავისუფლებით”, — წერდა ბაკუნინი.

ეს ციტატაც ხადყოფს, რომ იმ პოლიტიკურ ძალათა არგუმენტი, რომელიც გათავისუფლებას და სამართლიანობის აღდგენას ისახავს მიზნად და საშუალებად არადემოკრატიულ მექანიზმებს იყენებს, ყოველთვის ერთნაირია. ეს ძალები უხეში ინტერვენციის გასამართლებლად ყოველთვის „დროებითობას“, „გარდამავლობას“ და პრიორიტეტების იერარქიას იშველიებენ. „სულელი და განუვითარებელი“ ხალხი თავიდან უნდა დავმწყებმსოთ, და მხოლოდ შემდეგ მივცეთ დამოუკიდებლობა. სინამდვილეში კი „დროებითობა“ არასოდეს არ დასრულდება, სანამ თავად მექანიზმებსა და მეთოდებს არ შევცვლით.

საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია ყველაზე კარგი ილუსტრაციაა მსგავსი მიდგომის უვარესისობის აღსაქმელად. პოლიტიკური წყობა, რომელიც დიქტატურით იწყება, არასოდეს არ გადაზრდება თავისუფლებაში დიდი ძალისხმევის, დესტაბილიზაციის, ან ხშირად ახალი რევოლუციების გარეშე.

**მეორე – ნაციონალური მოძრაობის დიპტატურა**

ქართული საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნაცნობი და ადვილად გასახსენებელი თავად ჩვენი პოსტრევოლუციური მთავრობის მაგალითია. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აღიქვამდა როგორც „ჩამორჩენილ, კორუმპირებულ“ მასას, რომელიც მკაცრად და უკომპრომისოდ უნდა მართო და დემოკრატია ზემოდან ასწავლო. ამგვარმა მიდგომამ თავად დემოკრატია დააყენა საფრთხის ქვეშ, მმართველი ძალა კი ნებოლშევიკური ხასიათის ტირანად აქცია.

„მიზანი ამართლებს საშუალებას“ პრინციპის გამოყენების ერთ-ერთი ზუსტი მაგალითი ნაციონალური მოძრაობის მიერ შევარდნაძისდროინდელი მაღალჩინოსნე-

ბის დასჯაა. რევოლუციის შემდგომ კორუმპირებული და მოსახლეობის ხარჯზე გამდიდრებული მოხელეების დაპატიმრება, რა თქმა უნდა, ისევ „სამართლიანობის აღდგენის“ სახელით მართლდებოდა. ნაციონალური მოძრაობა და ჩვენც, ქართველი მოსახლეობა მართლები ვიყავით, როცა დამნაშავეთა დასჯას ვითხოვდით და მერე ვზეომობდით. თუმცა ის არავის გაგვხსენებია, თუ რა მეთოდებით ვაპატიმრებდით და ვასამართლებდით მთავრობის ყოფილ წევრებს თუ მათ „მეგობრებს“. მიზანი – ანუ შურისძიების სურვილი – იმდენად დიდი იყო, რომ მთავრობამ უპრობლემოდ, ჩვენი ნინააღმდეგობის გარეშე დაიწყო სასამართლო სისტემაზე ზენოლა და კანონგარეშე მეთოდების გამოყენება. საქართველოს მოქალაქეების გარდა, ნაცმოძრაობის მეთოდებს საერთაშორისო ინსტიტუტების ნაწილიც ამართლებდა. მსოფლიო ბანკის 2012 წლის მოხსენებაში გარკვევით წერია, რომ შევარდნაძისდროინდელ მოხელეებს მთავრობა ხშირად კანონდარღვევის ხარჯზე აპატიმრებდა და თავისუფლების სანაცვლოდ დიდ თანხებს ახდევინებდა. თუმცა, მოხსენების ავტორის აზრით, ეს გამართლებული მეთოდი იყო, რადგანაც ამოღებული თანხა კორუმციასთან ბრძოლას ხმარდებოდა.

როცა ხელისუფლება ერთხელ შეიმუშავებს ზენოლის მეთოდებს და ნინააღმდეგობას არ წააწყდება, გარდაუვალია ამ მეთოდების „დავინუბა“ და კანონიერი მოქმედება გარდამავალი პერიოდის შემდეგ. სინამდვილეში ჩვენ „მუდმივად გარდამავალ“ პერიოდში ჩავრჩით. როცა ნაცმოძრაობას ახალი თანხების „ამოღება“ დასჭირდა, ძველი კორუმპირებული მოხელეები კი გამოელია, მარტივიად გადავიდა ყველა სხვა პიზნესმენის, მათ შორის თავად ნაცმოძრაობასთან დაახლოებული პირების თუ კომპანიების დაპატიმრებასა და რესურსების გამოძალვაზე. 9 წლის თავზე კი მივიღეთ მონიპოლიზირებული ეკონომიკა, რომელიც ნაცმოძრაობის თითზე ჩამოსათვლელი წევრების ხელში იყო მოქცეული. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოცია-

ლურ-ეკონომიკურად გარიყული და იზოლირებული აღმოჩნდა.

## რა გვიცდა დღეს?

ამ და სხვა მაგალითების ანალიზით როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ცვლილებების გახორციელებისას ყველაზე მნიშვნელოვანი თავად პროცესია, ანუ მეთოდი თავისთავად არის მიზანი. იმაზე მნიშვნელოვანი, დაისჯებოდება თუ არა შევარდნაძის მთავრობის წევრები, ან ვთქვათ, მოვხსნით თუ არა ნაცმოძრაობის პოლიტიკურ ზენოლას უნივერსიტეტებზე, ისაა, თუ როგორ გავაკეთებთ ამას. იმისთვის, რომ ერთმა ელიტამ - მეორე, ერთმა უსამართლობამ მეორე უსამართლობა არ ჩაანაცვლოს, არასდროს არ უნდა „დავაცადოთ“ ელიტებს საკუთარი სურვილებისამებრ დაამყარონ „სამართლიანობა“. ჩვენ თავადვე უნდა მივიღოთ ცვლილებების შეზუმავება-განხორციელებაში მონაწილეობა და ყოველთვის უნდა მოვითხოვოთ ლეგიტიმური სამართლებრივი ჩარჩოების დაცვა.

სამწუხაროდ, ცხადია, რომ წინა ხელისუფლებამ ახალ ხელისუფლებას დაუტოვა არაერთი, მექანიზმი რომლის ძალითაც მთავრობას შეუძლია ზენოლა განახორციელოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებზე, სხვადასხვა სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო ინსტიტუტებზე. მთავრობა ამ მექანიზმთა ნაწილს წარმატებით იყენებს. სასაცილოა, როცა ახალი მთავრობა გვეუბნება - რატომ მენინაალდეგებით, მეც იმავეს ვაკეთებ, რასაც წინა მთავრობა აკეთებდა, სამაგიეროდ ჩვენ „უფრო კარგები“ ვართო.

არავის „სიკეთის და სამართლიანობის“ არ მჯერა, როცა მეთოდები არადემოკრატიული და არატრანსფორმიტულია. შესაბამისად, არ მჯერა ხელისუფლების, რომელიც მეუბნება - ნუ აპროტესტებ ამ ცვლილებებს, ეს დროებითა და შემოდგომაზე ყველაფერს თავიდან შევცვლითო. რატომ უნდა ვენდო სამომავლო დაპირებებს, როცა დღეს არ მრთავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დღეს თავად მიცხადებენ უნდობლობას?

დღეს უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა სავალალოა, და მგონი ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება ცვლილებების აუცილებლობაზე. მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ მთავრობის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები რომელიმე პრობლემას გადაჭრის. მთავრობამ პირველ რიგში უნივერსიტეტები და სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩართოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუ მთავრობას იმის ეშინია, რომ დღეს უნივერსიტეტებში ძალია ბალანსი უკვე არასწორადაა გადანაწილებული, მაშინ კვლავ საკუთარი ძალის გაზრდის ნაცვლად უნივერსიტეტის შიგნით არსებული, დღეისთვის უფლებაშეზღუდული ჯგუფების - სტუდენტების და ლექტორების ძალა გაზარდოს. შეცდომებს ყველა დაუშვებს და ის შეცდომა, რომელსაც ლექტორები და სტუდენტები დაუშვებენ საკუთარი უნივერსიტეტის მართვისას, უფრო მისაღები იქნება, ვიდრე ის შეცდომა, რომელსაც მათ გარედან მოახვევენ თავს.

უნივერსიტეტებისთვის ავტონომის მინიჭება არ ნიშნავს მათი მთავრობის მიმართ ანგარიშვალდებულების მოხსნას. პირიქით, ავტონომიურობის შემთხვევაში მათ მეტი გამჭვირვალობაც მოეთხოვებათ. აქამდე ხელისუფლება „სანდო პირებს“ მიუჩენდა ხოლმე უნივერსიტეტებს და შესაბამისად აღარც იმას ეკითხებოდა, როგორ და რაში იყენებდნენ ისინი სახელმწიფოს მიერ გადაცემულ რესურსებს. ანუ მთავრობის პრიორიტეტი იყო უნივერსიტეტის პოლიტიკური კონტროლი და სხვა ყველაფერი - მეორეხარისხოვანი გახლდათ. ამის საწინააღმდეგოდ, უნივერსიტეტებს უნდა მიეცეთ საკუთარი თავის მართვის უფლება და ასევე უნდა იყვნენ ვალდებული რომ საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე იყვნენ გამჭვირვალები.

როგორც ბაკუნინმა თქვა, თავისუფლება შეიძლება შევქმნათ მხოლოდ თავისუფლებით, ამიტომაც უნდა მივცეთ თავისუფლება არა მხოლოდ უნივერსიტეტებს, არამედ ყველა ინსტიტუტს, რომელსაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია. ■

■ არავის „სიკეთის და სამართლიანობის“ არ მჯერა, როცა მეთოდები არადემოკრატიული და არატრანსფორმიტულია.

შესაბამისად, არ მჯერა ხელისუფლების, რომელიც

მეუბნება - ნუ აპროტესტებ ამ ცვლილებებს, ეს დოკუმენტია და შემოდგომაზე ყველაფერს თავიდან

შევცვლითო. რატომ უნდა ვენდო სამომავლო დაპირებებს, როცა დღეს არ მრთავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დღეს თავად მიცხადებენ უნდობლობას?

# საზოგადოება



ფოტო გვარის ანგელიკა

ნუცა (ნინო) ლოლოშვილი, 1902-1966 / კინორეჟისორი



# ქალის უსნობი ისტორია

„50 ქალი საქართველოდან“ – ასე ეწოდება ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ახალ პროექტს, რომელიც XIX-XX საუკუნეებში საქართველოში კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალების ბიოგრაფიებსა და ორიგინალურ ფოტოებს აერთიანებს. ამ ქალების უმეტესობა და ქვეყნის ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილი ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი იყო. საოჯახო არქივებსა და მუზეუმებში მიკვლეული ფოტოები და მათ უკანა მხარეს დაბეჭდილი მოკლე ბიოგრაფიები ჩვენი წარსულის უცნობ დეტალებს ამხელს და მკითხველს მივიწყებული ისტორიის ახალი პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას აძლევს.

## ანი ჭანკოტაძე

მხატვრები, პოეტები, მეცნიერები, პოლიტიკური ლიდერები, რევოლუციონერები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც თავისი დროის ყველაზე პროგრესული შეხედულებებით გამოირჩეოდნენ და რომელთაც ქართული კულტურა დასავლური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად აქციეს.

მათ შესახებ მახსოვრობა ოფიციალურმა კულტურამ არ შემოინახა ან დაამახინჯა.

მკვლევრები ინფორმაციის მოსაპოვებლად საბჭოთა დროის არქივებში მუშაობდნენ, რომელთა დიდი ნაწილი, მათივე თქმით, „საბჭოთა იდეოლოგით გაფლენილი“, „პატრიარქალურად მიკერძოებული, დავარცხნილი“ და იმგვარად დაწერილია, რომ ოფიციალურ კულტურულ და პოლიტიკურ ღირებულებებთან კონფლიქტი არ გამოჩენდეს.

„ცხადია, რომ დაწერილი კულტურის ავტორთა დიდი ნაწილი მამაკაცია. ეს მამაკაცები და მათი დაწერილი კულტურა ცნობილი და ტირაუირებულია, მათი პრეზენტაცია, ხშირად, დიდი ინტენსივობით ხდება,“ – ამბობს ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი, რომელმაც პროექტის ფარგლებში 10-მდე ბიოგრაფია შეადგინა და ზოგადად, XIX-XX საუკუნის მოღვაწე ქალების ისტორიების ერთ-ერთი პირველი მკვლევარია. „პარბარე ჯორჯაძეს ვიცნობთ, როგორც სამზარეულოს წიგნის ავტორს, როცა ის ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი და პუბლიცისტი იყო. ეკატერინე გაბაშვილს ყველა იცნობს საბავშვო მწერლად და არა როგორც საზოგადო მოღვაწეს და კრიტიკულ ფერინისტს. იმავეს თქმა შეიძლება კატო მიქელაძეზე.

■ ელენე ბაქრაძის ფოტო,  
რომელიც ზერაპ ალხა-  
ნიშვილმა მის საოჯახო  
არქივში აღმოჩნდნა და  
მთელი პროექტის სავიზი-  
ტო ბრაათად იქცა, ძალიან  
განსხვავდება მკითხვე-  
ლისთვის აქამდე ცნობილი  
ელენე დარიანის სახისან.  
პლაზტი მდგრად უსაზღვროდ  
ლად ახალგაზრდა ქალს,  
ხელები მოკლე, ფართო  
შარვლის ჯამპში ჩაუწყვა  
და სიგარეტითა და თამამი  
ლიმილით კამერის წინაშე  
პიზირებს. ამ დრომდე  
ელენე დარიანის გამოსა-  
სახად ხშირად იყენებდნენ  
ნახატს, სად აღძეჭდილი  
ოვალურახრილი და სევდია-  
ნი ქალიც შეიძლება პოეტის  
მუზა ყოფილიყო, მაგრამ  
არა თამამი ეროტიკუ-  
ლი ლექსებს ავტორი.  
ნამდვილი ელენე დარიანის  
ფოტოს კი ამ ნახატს ვერა-  
ფრით მიამსგავსებთ.

ეს ქალი ძალიან რადიკალური ფემინისტური შეხედულებებით გამოირჩეოდა და უკიდურესად კრიტიკული მილიტანტი იყო – მისი შეხედულებები არყევდა ქართული კულტურისთვის ძალიან ფუნდამენტურ ღირებულებებს. სწორედ ეს არის მიზეზი, თუ რატომ არ დაიმახსოვრეს ის.“

პროექტში მონაწილე მკვლევრები ისტორიაში ქალების იგნორირების მიზეზზე საუბრისას ხაზს უსვამენ, რომ პატრიარქალური კულტურისთვის ქალების ღვანწლის დავინუება დამახასიათებელია, თუმცა საქართველოს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ პატრიარქალურ ღირებულებებთან, არამედ საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთანაც. „ნებისმიერი ამ ქალის ისტორია რომ ავიღოთ და სრულად დავწეროთ, მივიღებთ ბოლშევიზმის ისტორიას საქართველოში,“ – ამბობს ლელა გაფრინდაშვილი.

პროექტის კიდევ ერთი მკვლევარი, ფილოსოფოსი თათა ცოფურაშვილი აღნიშნავს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვწე ქალების განდეგნა ისტორიიდან საბჭოთა რეჟიმის ინტერესებში იყო, რაკი ეს ქალები სტალინური დიქტატურისთვის მიუღებელი, თავისუფალი კულტურულ-პოლიტიკური სივრცის შექმნას ემსახურებოდნენ: „საბჭოთა კავშირმა, როგორც იზოლაციონალისტურ-ტოტალიტარისტულმა საზოგადოებამ ნაშალა ის კვალი, რაც ქართულ საზოგადოებას დასავლურ ცივილიზაციასთან აკავშირებდა.“

თათა ცოფურაშვილი ხაზს ბოლშევიკური დიქტატურისა და პატრიარქალური იერარქიის სინთეზს უსვამს. „გასაბჭოების შემდეგ საზოგადოებაში იერარქია სინამდვილეში არ გამქრალა. უბრალოდ, არსებული ელიტა პარტიულმა ნომენკლატურამ ჩაანაცვლა. არც პატრიარქალური ღირებულებები შეცვლილა: მართალია, გასაბჭოების პირველ წლებში სხვა სიტუაცია იყო, ოჯახის ფერმენტის აქტიური გადააზრება მიმდინარეობდა და თავისუფალი სიყვარულის იდეაზე მსჯელობდნენ და ა.შ., მაგრამ 30-იანი წლებიდან, მმართველობაში სტალინის მოსვლის შემდეგ, ეს პერსპექტივა რადიკალურად შეიცვალა და მთელ სივრცეს პატრიარქალური

კულტი ისყრობს”, – ამბობს ცოფურაშვილი. მისი თქმით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქალის სექსუალობის მარგინალიზებაც და ყალიბდება ქართველი ქალის ახალი სახე – ფალიკური დედა, რომელიც დაცლილია ყოველგვარი სექსუალობისგან. ეს სახე დღემდე რჩება ჩვენ კულტურასა და აზროვნებაში არსებულ მოდელად.

კულტურის მოღვაწეების შემოქმედებაც რადიკალურად სწორედ ამ პერიოდიდან, გასაბჭოებიდან რამდენიმე წელში იცვლება. ამის მაგალითია მარიჯანის ფსევდონიმით ცნობილი პოეტი მარიამ ტყემალაძე. მან საუთარი ლექსების პირველი კრებული 1916 წელს გამოსცა. მარიჯანის პირველი კრებული თამამი და ეროტიზმით აღსაგვეა. 20-იანი წლების ბოლოს კი მან საბავშვო ლიტერატურის ჟანრში გადაინაცვლა და საბჭოთა ლიტერატურამ ღირებულად მისი შემოქმედების მხოლოდ ეს ნაწილი აღიარა. „ადრინდელ ლექსებში მარიჯანი ძალიან ღიად წერს საუთარ სხეულზე, შეგრძენებებზე, ექსპერიმენტატორობს, და მერე უცებრიგით საბავშვო მწერალი ხდება. უკვე 60-იან წლებში დაწერილ ლექსებს ვკითხულობ და ვხდები, რომ კარგად არ არის ეს ქალი, სხვა რაღაცის გაკეთებაც უნდა, მაგრამ ამ სურვილს დევნის... იგივე შთაბეჭდილებას ტოვებს ელენე ახვლედიანიც. რასაც 20-იან წლებში ხატავდა სულ სხვადა და ძალიან განსხვავდება მისიგან, რასაც შემდეგ ხატავდა. სხვა საზოგადოებაში რომ ეცხოვრათ, ამ ქალების შემოქმედება შემდეგ წლებში აღბათ სულ სხვანაირი იქნებოდა, მაგრამ ფიზიკური გადარჩენისთვის მათ მოუწიათ კონფორმისტები გამხდარიყვნენ.“ – ამბობს მარიჯანისა და ელენე ახვლედიანის ბიოგრაფიების ავტორი, თამთა მელაშვილი. მანვე შეადგინა ელენე დარიანის სახელით ცნობილი ელენე ბაქრაძის ბიოგრაფიაც. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მევლევრები ვარაუდობენ, რომ სწორედ ელენა ბაქრაძეა „დარიანული“ ციელის სახელით გამოცემული 14-მდე ლექსის ავტორი, რომელიც პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ პაოლოს ლექსების კრებულში დაიბჯდა.



ართი ბ. ლავრენტის, სახ. ლავრენტიუსის ფოტოგრაფია

მარიამ ჭავჭავაძე-ორბელიანი, 1852-1941 / საზოგადო მოღვაწე





**50**  
საქართველო

ფოტო © ლეინოვის, საქ. ლილიანის უნივერსიტეტი

ელენე ბაქრაძის ფოტო, რომელიც ზურაბ ალხანიშვილმა მის საოჯახო არქივში აღმოაჩინა და მთელი პროექტის სავიზიტო ბარათად იქცა, ძალიან განსხვავდება მკითხველისთვის აქამდე ცნობილი ელენე დარიანის სახისგან. პლაზზე მდგარ უსაზღვროდ ლალ ახალგაზრდა ქალს, ხელები მოკლე, ფართო შარვლის ჯიბეში ჩაუწყია და სიგარეტითა და თამამი ღიმილით კამერის წინაშე პოზირებს. ამ დრომდე ელენე დარიანის გამოსასახად ხშირად იყენებდნენ ნახატს, სადაც ბეჭედილი თვალდახრილი და სევდიანი

ქალიც შეიძლება პოეტის მუზა ყოფილიყო, მაგრამ არა თამამი ეროტიკული ლექსების ავტორი. ნამდვილი ელენე დარიანის ფოტოს კი ამ ნახატს ვერაფრით მიამსგავსებთ.

პროექტში განსაკუთრებით საინტერესოა ხუთი პოლიტიკოსი ქალის ისტორია, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატები იყვნენ. ეს ქალები წლების განმავლობაში მუშაობდნენ პედაგოგებად, ექიმებად, ენეოდნენ სოციალისტური იდეების აგიტაციას, საქართველოში ჩამოჰქონდათ აკრძალული ლიტერატურა. ამ საქმიანობის გამო ისინი არაერთხელ დააპატიმრეს. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების შემდეგ ყველა მათგანი, როგორც საკუთარ თავს უწოდებდნენ, „მეუმცირესები“ ანუ „მენშევიკები“ იყვნენ.

ელეონორა-ტერ ფარსეგოვა იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელმაც 1906 წელს სოხუმი აიღო. „მათ ჯგუფმა სახელისუფლებო სტრუქტურების პარალიზება გამოიწვია, ქალაქი დაიკავა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ინარჩუნებდნენ მმართველობას. როგორც სასამართლოს დოკუმენტაციიდან ჩანს, ელეონორას, რომელიც პედაგოგად მუშაობდა ერთ-ერთ სასწავლებელში, ბრალდებოდა, რომ ის ორგანიზებას უწევდა მოსწავლეთა გაფიცვებს, ასწავლიდა მათ რევოლუციურ სიმღერებს, როგორიცაა მარსელიეზა, რომ სულ წითელი დროშით მიუდვიოდა ხალხის ტალღას,“ – ყველა მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან, ეს ქალები იატაკევეშეტში აღმოჩნდნენ და ისე აგრძელებდნენ არალეგალურ საქმიანობას. ახლა უკვე საბჭოთა მთავრობის მხრიდან გახდნენ დაპატიმრებებისა და გადასახლებების მსხვერპლი. ერთ-ერთი მათგანი, ანა სოლოლაშვილი კი 1937 წელს დახვრიტეს.

ლელა გაფრინდაშვილს მიაჩნია, რომ ამ პერიოდში ადამიანების ინდივიდუალური ისტორიების შესწავლა საუკეთესო მეთოდია საბჭოთა რეჟიმის ფენომენის შესასწა-



ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ

კლად. ტოტალიტარული რეჟიმის შესახებ  
ამგვარად მოპოვებული ცოდნა კი საზო-  
გადღებას მსგავსი ფენომენების თავიდან  
არიდებაში უნდა დაეხმაროს. „მხოლოდ  
ასე მივიღებთ არსებით პასუხებს, თუ რა  
იყო ბოლშევიზმი, საბჭოთა კავშირი, რე-  
უიმი... ამ გამოცდილების გაუაზრებლო-  
ბა ტოვებს შესაძლებლობას ანალოგიუ-  
რი რეჟიმების ჩამოყალიბებისთვის ჩვენ  
თანამედროვეობაშიც. საბჭოთა კავშირის  
დაშლის შემდეგ რომ ამ ტიპის კვლევები  
და მათზე დაფუქნებული ძლიერი მოძრა-  
ობები დაწყებულიყო, სააკადემიის რეჟიმი  
ველარ ჩამოყალიბდებოდა. ამიტომ ეს გა-  
მოცდილება გასააზრებელია, რომ მომა-  
ვალში მაინც უფრო ფხილად ვიყოთ და  
ამ ტიპის მაგალითებზე დაყრდნობით შე-  
გვეძლოს ახალ გამოწვევებზე რეაგირება“  
– მიიჩნევს ფილოსოფოსი.

პროექტის ხელმძღვანელის, ჰაინრიხ  
ბიოლის გენდერის პროგრამის კოორდი-  
ნატორის, ხათუნა სამნიძის აზრით, საზო-  
გადოების მხრიდან თავსმოხვეული გენ-  
დერული როლები, საიდან თავის  
დაღწევასაც ვერც ქალები და ვერც მა-  
მაკაცები ვერ ახერხებენ, დღემდე ძალიან  
პრობლემატურია და ადამიანების ცხო-  
ვრება მათ გამო ხშირად გაუსაძლისი  
ხდება. „ამ მდგომარეობიდან გამოსავა-  
ლი, პირველ რიგში, განათლებაა. ოუნდაც  
მსგავსი ტიპის ბუკლეტების და ისტორიე-  
ბის გავრცელება, რომლებიც ადამიანებს  
ატყობინებენ, როგორ შეიქმნა ის რეალო-  
ბა, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. გან-  
საკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახალ-  
გაზრდებმა იცოდნენ ამის შესახებ და  
დაინახონ ალტერნატივის შესაძლებლო-  
ბა“, – ამბობს ხათუნა სამნიძე. **■**

■ ამ პერიოდში ადამია-  
ნების ინდივიდუალური  
ისტორიების შესწავლა  
საუკეთესო მეთოდა სა-  
ძყორთა რეჟიმის ფრენის  
შესასწავლად. ტოტალი-  
ტარული რეჟიმის შესახებ  
ამგვარად მოპოვებული  
ცოდნა კი საზოგადოებას  
მსგავსი ფრენის  
თავიდან არიდებაში უნდა  
დაეხმაროს.

## მატი წონაში სახსათის უცნაბობისთვის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაასრულა მუშაობა კოდექსზე, რომელიც საკვების უვნებლობას, ვეტერინარიასა და მცენარეთა დაცვას ეხება. სააგენტოში ამბობენ, რომ კოდექსში მასშტაბური ცვლილებები შევიდა როგორც სურსათის უვნებლობის კონტროლის გაძლიერების, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით. ცვლილებების პაკეტი გადაგზავნილია სამინისტროებში და მალე მისი განხილვა პარლამენტშიც დაიწყება.

### თათია ხალიანი

სურსათის უვნებლობის სუსტი სახელმწიფო კონტროლი, ჯანმრთელობისთვის საშიში საკვები პროდუქტების რეალიზაცია ბაზარზე, დაზარალებული მომხმარებელი და სურსათის მნარმოებლების მიერ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის დაბალი მაჩვენებელი ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ევროკავშირისა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დასაწყისში. შესაბამისად, 2010 წელს ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე სურსათის უვნებლობის ეროვნული სტრატეგია შემუშავდა. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, სტრატეგიის მთავარი მიზანია საქართველოში წარმოდგენილი უვნებლობის დაზრდა, რომელიც მომხმარებელთა უზრუნველყოფას ნაკლებად ითვალისწინებს.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ მთავარი პრობლემა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული საკვები პროდუქტებია. განსაკუ-

თობით ხშირია ნახევარფაბრიკატებსა და ხორცპროდუქტებში აღმოჩენილი კოლიბაქტერიები, რასაც მნარმოებლის მხრიდან ჰიგიენური ნორმების დაღვევა იწვევს. შესაბამისად არ არის გარანტირებული საკვების უვნებლობა. 2011 წლის სექტემბრიდან ორგანიზაცია მომხმარებელთა საჩივრების საფუძველზე საკვებპროდუქტებს ამონტებს. საჩივრის მიღების შემდეგ, მითითებული მაღაზიიდან კონკრეტულ პროდუქტს ყიდულობს და ლაბორატორიაში მიკრობიოლოგიურად ამონტებს. თუ დარღვევა აღმოჩნდა, ამის შესახებ ნერილობითი ინფორმაცია, როგორც მენარმებს, ასევე, სურსათის ეროვნულ სააგენტოსაც ეგზავნება.

სურსათის უვნებლობის კონტროლი სურსათის ეროვნული სააგენტოს მოვალეობაა, თუმცა მისი კონტროლის მასშტაბები, სურსათის წარმოებაში და გაყიდვაში ჩართული მენარმეების რიცხვთან შედარებით, ძალიან მცირეა. როგორც „ევრაზის თანამშრომელი ვახტანგ კობალაძე ამბობს, 2012 წელს სურსათის ოპერატორების რეგისტრირებული რაოდე-

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამინისტროს მინისტრი, დოკომენტი, რომელიც 2014-2017 წლებს მოიცავს, სურსათის მნარმოებელი 17 800 ბაზნესოპერატორის შემოწმებაა გათვალისწინებული. ასევე, დაგეგმილია 23 680 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშის აკრედიტირებულ ლაბორატორიებში კვლევა.

ნობიდან მხოლოდ 0.8% შემოწმდა, რაც მიზერული ციფრია.

„მაგალითად, ამერიკაში რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანოდან, 2011 წელს მარტო ერთმა მაკონტროლებელმა სურსათის ადგილობრივი ოპერატორების 6%-ს ჩაუტარა შემოწმება. ბუნებრივია, ეს დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული მაგრამ ისეთი საკითხია, რომ სახელმწიფომ უნდა გაიმეტოს ამისთვის რესურსები, რადგან უმუალოდ ჩვენს ჯანმრთელობას ეხება.“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილებით, სოფლის

მეურნეობის სამინისტროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტად სურ-სათის უვნებლობის უზრუნველყოფა დასახელდა. პროგრამის მიხედვით, ლა-ბორატორიული კვლევების შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მაღალია დარღვევები გამოკვლეული სასმელი წყლის სინჯებში, ცხოველური წარმოშობის სურსათში, მზა კერძებსა და კულინარიულ ნაწარმში. შესაბამისად, სახელმწიფო გეგმავს ადა-მიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს



ინიციტივით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პაკეტი მოამზადა. პროექტის მომზადებაში სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები და დარგის სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“ ერთ-ერთი იყო იმ ორგანიზაციებს შორის, რომელმაც ჯგუფს რეკომენდაციები მიაწოდა. ცამეტი რეკომენდაციიდან ძირითადი სახელმწიფო კონტროლის გამაცრებას და რისკის ანალიზის სისტემის გაუმჯობესებას ეხებოდა.

„რისკის ანალიზი კონტროლის განხორციელების საფუძველია. ჯერ უნდა შეფასდეს ბაზარზე არსებული რეალური რისკები – რა სახის სურსათიდან მოდის რისკები, როგორ პირობებშია სურსათი და ა.შ. ეს ყველა ქვეყანაში ძალიან სერიოზული და მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული პროცესია. უნდა შემუშავდეს კონკრეტული წესები და პირობები, რათა შევაფასოთ რისკები, ხოლო შემდგომ, ამის საფუძველზე გაიწეროს კონტროლის სხვა მექანიზმები,“ – ამბობს ვახტანგ კობალაძე.

სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის კახა სოხაძის თქმით, კოდექსში მასშტაბური ცვლილებები შევიდა და ამ სფეროს რეგულირება გაცილებით უფრო მკაფიოდ გაიწერა. კოდექსში შესული ცვლილებები საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება, რომელიც რისკის ანალიზს და კონტროლის ეფექტურ მექანიზმს გულისხმობს.

„თუკი არსებული პოლიტიკა არ იყო ქმედითი, ახლა მიდგომები შეიცვალა, სურსათზე სახელმწიფო კონტროლი მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ემსახურება. ეს პირდაპირ კავშირშია ადამიანების სიცოცხლის დაცვასთან, რაც უზენაესი კონსტიტუციური უფლებაა“, – ამბობს სოხაძე.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ სურსათის უენებლობის სახელმწიფო კონტროლი, როგორც გეგმიურ ისე არაგეგმიურ ინსპექტირებას მოიცავს. გეგმიური შემოწმების მიხედვით, მინისტრის ბრძანების საფუძველზე სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამა მტკიცდება, სადაც განერილია შესამონმებელი ბიზნესოპერატორების რაოდენობა და იმ სურსათის დასახელება, რომელიც სახელმწიფო მიმდინარე წელს უნდა გამოიკვლიოს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც 2014-2017 წლებს მოიცავს, სურსათის მწარმოებელი 17 800 ბიზნესოპერატორის შემოწმებაა გათვალისწინებული. ასევე, დაგეგმილია 23 680 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშის აკრედიტირებულ ლაბორატორიებში კვლევა.

რაც შეეხება არაგეგმიურ შემოწმებას, სააგენტოს შეუძლია მხოლოდ მომხმარებლის შეტყობინების საფუძველზე ჩაატაროს არაგეგმიური შემოწმება.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც კოდექსში შევიდა ეტიკეტირების წესის დარღვევის და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის მცდელობაზე პასუხისმგებლის საკითხს ეხება. კახა სოხაძის თქმით, ეს ცვლილება მომხმარებელთა ინტერესების დაცვისთვის კარგი მექანიზმია, რადგან ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე პასუხისმგებლობის საკითხი დადგება და მენარმე დაჯარიმდება.

ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც აზრთა სსვადასხვაობა არსებობს, კერძო საინსპექციო ორგანოების დაშვებას ეხება. არსებული კანონმდებლობა ასეთი ორგანოების არსებობას ითვალისწინებს. ცვლილებების მიხედვითაც კანონში ეს ნორმა რჩება. „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში“ მიიჩნევენ, რომ ეს არაეფექტური მექანიზმია და ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკიც არსებობს. რადგან კერძო საინსპექციო ორგანომ პირადად უნდა გაუფორმოს

ხელშეკრულება ბიზნესოპერატორს რომელსაც შეამოწმებს. ამიტომ ორგანიზაციის პოზიციაა, რომ ეს ნორმა ახალ კოდექსში დაიხვეწოს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში კი თვლიან, ეს არ მოდის წინააღმდეგობაში ევროპულ პრაქტიკასთან.

კოდექსზე მუშაობა არ იყო დასრულებული, როდესაც პარლამენტში შევიდა ინიციატივა ამავე კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი დეპუტატი კობა დავითაშვილია. დეპუტატი სასაკალოს გარეთ სარეალიზაციოდ გამზადებული ცხოველის დაკვლის ლეგალიზაციას ითხოვს. დავითაშვილის თქმით, ცხოველის სასაკალოზე დაკვლის ვალდებულება უნდა გაუქმდეს და ადგილზე ცხოველის დაკვლის პროცესზე ზედამხედველობა ბიზნესოპერატორსა და ვეტერინარს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს.

„ქვეყანაში სასურსათო პროდუქციას წვრილი გლეხური მეურნეობები ანარმოებენ. ხორცს სწორედ ასეთი მეურნეობები აწვდიან ბაზარს. პრაქტიკულად ეს ბაზარი მაინც არსებობს, არალეგალურად. სასაკალო კი ისეა მოწყობილი რომ ორიენტირებულია მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე,“ – ამბობს დავითაშვილი.

მისი თქმით, ცხოველის ადგილზე დაკვლის დაკანონებით მოგებული დარჩება როგორც გლეხი, ისე მომხმარებელი და წვრილი მენარმე. გარდა ამისა, ხორცი გაიაფდება, რადგან თავის დროზე სასაკალოებში პირუტყვის დაკვლის ვალდებულების გაჩენამ დიდ ქალაქებში ხორცის გაძვირება გამოიწვია.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიიჩნევენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ამგარად დაკლული ცხოველის ხორცი შესაძლებელია საფრთხეს წარმოადგენდეს. რადგან საერთაშორისო მიდგომაა, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გამოტანილი ხორცი მხოლოდ სასაკალოზე დაკლული ცხოველისგან უნდა იყოს და შემოწმების გარკვეულ პროცედურებს გადიოდეს.

„ცხოველი პიგიენის პირობების ზედმიწევნით დაცვით უნდა დაიკლას. შენახვისას და ტრანსპორტირებისას კი ტემპერატურის რეჟიმები უნდა დაიცვან. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ გლეხმა ცხოველი ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ დაკლას. როულია იმის თქმა, რამდენად იქნება აღნიშნული პირობები ასეთ გარემოში დაცული,“ – ამბობს კახა სოხაძე.

ცვლილების ინიცირების შემდეგ, 15 ივნისს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტში განცხადება წარადგინებს, სადაც საუბარია, რომ ამ საკანონმდებლო ნორმის მიღება კიდევ უფრო გაზრდის ბაზარზე მავნე სურსათის მოხვედრის საფრთხეს და სურსათით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკებს, რაც ისედაც მწვავე პრობლემაა, სასურსათო ბაზრის რეგულირების სისუსტის გამო. ორგანიზაციები მოუწოდებენ პარლამენტს ღრმად შეისწავლოს საკითხი და ყველა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას თუ სპეციალისტთა ჯგუფს მისცეს საშუალება საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირონ ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით.

სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მოწესრიგებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში წერია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე სამი ლაბორატორიის მოწყობა იგეგმება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. სააგენტოში ამბობენ, რომ ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ლაბორატორიების აღჭურვა და მოწესრიგება დიდ თანხებს მოითხოვს.

“რამდენიმე დონორი ორგანიზაცია დაინტერესებულია და ამაზეც მიდის საუბარი. მნიშვნელოვანია მძლავრი ლაბორატორიული ცენტრის შექმნა რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს და სტანდარტებს უპასუხებს. ამისთვის მრავალპროფილური კელევაა საჭირო” – ამბობს კახა სოხაძე. **■**

**■ სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მოწესრიგებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში წერია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე სამი ლაბორატორიის მოწყობა იგეგმება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. სააგენტოში ამბობენ, რომ ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ლაბორატორიების აღჭურვა და მოწესრიგება დიდ თანხებს მოითხოვს.**

# ჩობარი ვისავთ ეაცა სახისობის



ვაშლოვნის ეროვნული პარკი

ფოტო იმეგო საქართველო

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდა, თუმცა მოუგვარებელი პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა. ბრავონიერობასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, ფართობის ზრდა, რეინჯერების ხელფასები – ეს ის საკითხებია, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა გადაიჭრას.

## ეკა მაღალდაძე

20 მაისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსი გიორგი შონვაძე და აკებებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. გათავისუფლების მიზეზი სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა გახდა, რომლის თანახმადაც, რამდენიმე მილიონი ლარი არამართლზომიერად იყო დახარჯული.

შონვაძე ამბობს, რომ მისი გათავისუფლების მიზეზი რეკონსტრუქციის მიზნით განხორციელებული ქმედებებია. სამინისტროში კი აცხადებენ, რომ თანხების არამართლზომიერი ხარჯვა გაუმართლებელია. მით უმეტეს, რომ საუბარია არა მხოლოდ საბიუჯეტო, არამედ საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გა-

მოყოფილ თანხებზე. შიდა აუდიტის 13 მაისის დასკვნის თანახმად, გამოვლენილი გარემონტების სავარაუდოდ სისხლისამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ამიტომ საქმის მასალები შესასწავლად მთავარ პროცერატურას გადაევგზავნა.

დაცული არის ტერიტორია, რომელსაც სპეციალური სტატუსი უნიკალური ბიომრავლებულების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დასაცავად და შესანარჩუნებლად აქვს მინიჭებული.

საქართველოში დაცვის ხარისხის მიხედვით 6 კატეგორიის დაცული ტერიტორია არსებობს. ესენია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული

ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

### პრასაცმარისი დაცული ტერიტორია

IUCN-ის (ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის) კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში სულ 68 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია არსებობს, მათ შორის: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 10 ეროვნული პარკი, 18 აღკვეთილი, 24 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი.

ეს ტერიტორიები საქართველოს მთლიანი ფართობის 7.5%-ს (520 273 ჰა) შეადგენს, მაშინ, როცა ევროპაში დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ ქვეყნის 18% უკავია. საქართველოს დაცული ტერიტორიების 75% ტყითაა დაფარული.

კონკრეტული მითითება, თავისი ტერიტორიის რა ნაწილს უნდა იცავდეს სახელმწიფო, ცხადა, არ არსებობს, ეს თითოეული ქვეყნის ბუნებრივ პოტენციალზეა დამოკიდებული. თუმცა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის, „ნაკრესის“ გამგეობის თავმჯდომარის, ირაკლი შავგულიძის აზრით, საქართველოსნარი ქვეყნისთვის 7.5% პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ საქართველომ შეინარჩუნოს თავისი როლი მსოფლიოში, როგორც ბუნებით მდიდარმა ქვეყანამ.

„ეს არაა გარემოსდამცველების აკვიატებული იდეა, რეალობა ასეთია. გარდა ამისა, ეს ჩვენი ვალდებულებაცაა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომელმაც, სხვათა შორის, სწორედ ამ სფეროს განვითარებაში მიღიონობით ევრო ჩადო ამ ქვეყანაში,“ – ამბობს შავგულიძე.

შავგულიძის ინფორმაციით, ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ სატრატეგიაში, რომელიც მომზადების პროცესშია, აღნიშნულია, რომ დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 17%-მდე მაინც აუცილებლად უნდა გაიზარდოს. შავგულიძის აზრით, თუ უახლოეს 10 წელიწადში ამის განხორციელება მოხერხდა, ეს სფეროსთვის დიდი წარმატება იქნება.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი უფროსი რატი ჯაფარიძე ამბობს, რომ 1994 წელს საქართველომ „ბიომრავალფეროვნების შექმნასთან“ (CBD) შეერთების სწორედ უნიკალური ბიომრავალფეროვნების ეფექტურად დაცვის ვალდებულება აიღო.

სწორედ უნიკალური ბიომრავალფეროვნების ეფექტური დაცვის ვალდებულება აიღო. საქართველო ვალდებულია 2020 წლამდე თავისი ტერიტორიის 19% მაინც გამოაცხადოს დაცულ ტერიტორიად.

თუმცა, დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდის პროცესში როგორ პრობლემებია. ერთი მხრივ, მნირი სახელმწიფო დაფინანსება, მეორე მხრივ კი ის, რომ ტყის მასივების ნაწილი, რომელიც პოტენციურ დაცულ ტერიტორიად მოაზრება, იჯარით ინვესტორებისთვის არის გადაცემული, ნაწილის მიმართ სამომავლოდ კომერციული ინტერესები არსებობს, დიდ ნაწილს კი ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრების ან სხვა დანიშნულებით იყენებს.

### პიომრავალფეროვნების მონიტორინგი

ექსპერტების შეფასებით, წლების განმავლობაში ყველაზე გამოკვეთილი ხარვეზი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით გვქონდა. არადა, დაცული ტერიტორიების დაარსებისა და ფუნქციონირების ეფექტურობის შესაფასებლად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი აუცილებელია.

„თუ არ გვაქვს პოპულაციების ზრდის ტენდენციები, ან მთლიანად ეკოსისტემების კუთხით დადებითი ცვლილებების ტენდენციები, მაშინ დაცული ტერიტორია ეფექტურად ვერ მოქმედებს, ან საზღვრებია არასწორი, ან დაგეგმარება, ან მენეჯმენტი და მიღვმები საჭიროებს გადახედვას. მონიტორინგის გარეშე კი ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოხატვით შეგვიძლია. ის მონაცემები, რასაც ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამშრომლები აგროვებდნენ და დებდნენ, კრიტიკას ვერ უძლებს,“ – ამბობს ირაკლი შავგულიძე.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი უფროსი რატი ჯაფარიძე ფიქრობს, რომ პრობლემის მიზანი დარგის არაპრიორიტულობა იყო. რადგან ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და მსგავსი საკითხები არასდროს აღიქმებოდა პირველად საჭიროებებად. „ფიქრობდნენ, როგორ აეშენებინათ დაცულ ტერიტორიაზე დიდი სასტუმრო, როგორ მოეზიდათ მონადირე ტურისტები, მაგრამ იმის შესწავლაზე, რასაც ვიცავდით, არავინ ფირმება. ჩვენ გვინდა, დავინახოთ მთლიანი

■ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი უფროსი რატი ჯაფარიძე ამბობს, რომ 1994 წელს საქართველომ „ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციასთან“ (CBD) შეერთების სწორედ უნიკალური ბიომრავალფეროვნების ეფექტურად დაცვის ვალდებულება აიღო. საქართველო ვალდებულია 2020 წლამდე თავისი ტერიტორიის 19% მაინც გამოაცხადოს დაცულ ტერიტორიად.

სურათი, გავიგოთ რა ხდება, და მიღებული შე-დეგბის საფუძველზე შევიმუშავოთ ის სამოქ- მედო გეგმა, რომელიც კარგი იქნება გარემოს დასაცავად და ასევე მის საექსპლუატაციოდ მდგრადი გამოყენების პირობით.“

## კანონდებლობა და დაცვის

### კატეგორიები

ირაკლი მავგულიძე კანონმდებლობის ხარ- ვეზებზეც საუბრობს. მისი თქმით, კანონი „ნი- თელი ნუსხისა“ და „ნითელი ნიგნის“ შესახებ გადამუშავებას საჭიროებს. რადგან წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კანონმდე- ბლობა შემუშავდა, შეიცვალა როგორც ფა- ქტობრივი მდგომარეობა, ისე კვლევის მეთო- დები.

მისი აზრით, გადასახედია „დაცული ტერი- ტორიების სისტემის შესახებ“ კანონიც. მიუ- ხედავად იმისა, რომ საქართველოში დაცული ტერიტორიების მრავალფეროვანი (6 კატე- გორია) კატეგორიები არსებობს, შევისახის შეფასებით, კიდევ უფრო მეტი და მოქნილი კატეგორიის დამატებაა საჭირო. ასეთი შეი- ძლება იყოს ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური მენეჯმენტის ან კერძო დაცუ- ლი ტერიტორიების კატეგორია. ისინი და- ცვის ხარისხით უფრო დაბალ კატეგორიებად მოიაზრება, თუმცა შევისახის განმარტავს, რომ კონსერვაციის კუთხით, ყოველ კონკრე- ტულ სიტუაციაში ისეთი კატეგორიის შერ- ჩევა ჯობს, რომელიც ოპტიმალურ შედეგს მოგვცემს. გრძელვადიან პერსპექტივაში კი შესაძლოა უფრო ეფექტური სწორედ დაცვის რეჟიმით, რანგით უფრო დაბალი კატეგორიე- ბი აღმოჩნდეს.

ადგილობრივი მნიშვნელობის დაცულ ტერი- ტორიად შეიძლება გამოცხადდეს ადგილები, რომლებსაც არ აქვთ ეროვნული თუ გლო- ბალური ფასეულობა, მაგრამ კონკრეტული რეგიონისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენს. შეიძლება ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში იყოს.

კიდევ ერთი შესაძლო კატეგორია კერძო დაცული ტერიტორიაა, ამგვარი ტერიტორია კერძო მფლობელობაშია, იქნება ეს საერთა- შორისო ან ადგილობრივი ორგანიზაცია თუ კერძო კომპანია, თუმცა მისი მართვა ზუსტად

ისევე ხორციელდება, როგორც დაცული ტე- რიტორიისა.

„მაშინ, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს სა- შეალება დაცულად გამოაცხადოს ესა თუ ის ტერიტორია, კერძო ორგანიზაციას შეუძლია გარკვეული ბიზნეს-ინტერესები- დან გამოისყოდოს კონკრეტული ტერიტორია. სახელმწიფო კი ორმაგად ნახულობს მოგებას, ერთი მხრივ ხდება ბუნების დაცვა, მეორე მხრივ კი იღებს საბიუჯეტო შემოსავალს,“ – ამბობს შევისახის მეტობით, მისი თქმით, მთელი რიგი ტერიტორიების დაცვა საქართველოში, სწო- რედ იმიტომ ვერ ხერხდება, რომ მათ მიმართ ძალიან დიდი კომერციული ინტერესები არსე- ბობს. და სახელმწიფოც ამას როგორც შემო- სავლის წყაროს ისე უფერებს,“ – განმარტავს შევგულიძე.

ტერიტორიის მფლობელს შეუძლია მიიღოს კომერციული მოგება, განავითაროს ეკოტუ- რიზმი, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციე- ბისა და სახელმწიფოს წინაშე აღებულ დაცვის ვალდებულებებს სრულად უნდა აკმაყოფილე- ბდეს – იყნებდეს ტერიტორიას, მაგრამ არა მომხმარებლური მიდგომით.

„ეს საკმაოდ რთული სფეროა, მაგრამ ამის გამოცდილება მსოფლიომ არსებობს. პატა- გონის უზარმაზარი ტყეების დიდი ნაწილიც კერძო ხელშია, მაგრამ ფაქტია, რომ მსო- ფლიონსთვის უძვირფასესი ტყეები სწორედ ამ კერძო კომპანიებმა გადაარჩინეს,“ – განმარ- ტავენ „ნაკრებში“.

### დაზიანებების სიმპტომები

დაცული ტერიტორიების დაფინანსება ბოლო წლებში გაიზარდა, თუმცა, 10-11 მი- ლიონს მაინც არ აჭარბებს. 2012 წლის მონა- ცემებით, სახელმწიფო დაფინანსება მთლიანი შემოსავლის 31%-ს არ აჭარბებდა (3 426 000 ლარი), გრანტებით მიღებული შემოსავალი 61% იყო, საკუთარი შემოსავალი კი სულ 6% – 700 000 ლარი.

დაფინანსების პრობლემაზე საუბრისას რატი კვაფარიძე ამბობს, რომ ეს საკითხი დიდწილად გამოსწორებულია. ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს უკვე აქვთ კონკურენტუ- ლი ხელფასები, თუმცა კვლავ დაბალი რჩება რეინჯერების ხელფასები.

სახეობათა კონსერვაციის ცენტრში კი გან-  
მარტივენ, რომ ეს დარგი უშეალოდ სახელ-  
მწიფოსთვის უნდა იყოს პრიორიტეტული,  
რაც შესაბამისი დაფინანსებით უნდა გამოი-  
ხატოს.

„არ შეიძლება დაცული ტერიტორიები დო-  
ნირების ან საკუთარი თავის იმედზე დაგჭო-  
ვოთ. სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი  
სიმდიდრე და მსოფლიოსაც აჩვენოს, რომ ეს  
მისთვის პრიორიტეტულია. საკუთარ ხარჯებს  
ისეთი ეროვნული პარკებიც კი ვერ ფარავენ,  
როგორებიცაა აფრიკის ცნობილი ეროვნული  
პარკები, სადაც იმდენი ტურისტია, რომ ვერც  
ერთ დაცულ ტერიტორიაზე ჩვენ ვერასდროს  
გვეყოლება. სახელმწიფო ყოველთვის დებს  
ამაში გარკვეულ ფულს,“ – აცხადებს ირაკლი  
შავგულიძე.

**ინდივიდუალური მენეჯერის გეგმა**  
ერთ-ერთი პრობლემა, რომელზეც წლების  
განმავლობაში გარემოსდამცველები აპელირე-  
ბდნენ, ინდივიდუალური მენეჯმენტის გეგმის  
არარსებობა იყო. ქართული კანონმდებლო-  
ბით, ინდივიდუალური მენეჯმენტის გეგმა ნე-  
ბისმიერ დაცულ ტერიტორიას უნდა ჰქონდეს.  
თუმცა რეალურად ასეთი გეგმა სააგნენტის  
2005-2012 წლების ანგარიშის თანახმად, სულ  
8 დაცულ ტერიტორიას აქვს.

ირაკლი შავგულიძის თქმით, მენეჯმენტის  
გეგმის არსებობა საკანონმდებლო დონეზე  
სწორედ იმიტომ მოითხოვება, რომ ის პრაქტი-  
კული საქმიანობისთვის აუცილებელია: „ესაა  
ადამიანთა ჯგუფის ყოველდღიური პრაქტიკუ-  
ლი, საოპერაციო გეგმა. მთავარი დოკუმენტი, რომლითაც  
ტერიტორიული ადმინისტრაციის წარმომადგენლები  
ადგილზე ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღები-  
სას უნდა ხელმძღვანელობდნენ. ამის გარე-  
შე, მთელი რიგი საკითხები და აქტივობები,  
დაურეგულირებელი და გაურკვეველი რჩება.  
შესაბამისი გეგმების გარეშე ადგილობრივი  
ნარმომადგენლები ვერც ეფექტურ კანონალ-  
სრულებას განახორციელებენ და ვერც ბიომრა-  
ვალფეროვნების მონიტორინგს.“

ევროკავშირის „თვინინგის“ პროგრამის ფარ-  
გლებში ახლო მომავალში ასეთი გეგმა კიდევ 4  
დაცული ტერიტორიისთვის მომზადდება.

## პრაკტიკობასთან პრძოლა და

### რეინჯერები

კანონალსრულების პრობლემებზე საუბრი-  
სას ექსერტებიც და სააგნენტოს ხელმძღვანე-  
ლიც რეინჯერების შეზღუდულ რაოდენობას,  
მათ მცირე ხელფასებსა და არასათანადო  
აღჭურვას ასახელებენ.

ირაკლი შავგულიძე ამბობს, რომ საზოგა-  
დოებას არასანორი წარმოდგენა აქვს რეინჯე-  
რების საქმიანობის შესახებ: „საზოგადოებას  
უნდა ესმოდეს, რომ რეინჯერი პრაქტიკულად  
სამართალდამცავია, მას უნევს არათუ უწყი-  
ნარ, არამედ შეიარაღებულ დამნაშავეებთან  
დაპირისპირებაც. საჭიროა მათი როგორც  
სათანადო აღჭურვა, ისე მომზადება. ბრაკო-  
ნიერი, რომელიც დათვის მოსაკლავადა წა-  
სული, ცხადია შეიარაღებულია. ჯიპიესპი,  
მანქანები, იარალი, ტექნიკა, ეს ყველაფერი  
აუცილებელია კანონალსრულების ეფექტურად  
განხორციელებისთვის.“

გარდა ამისა, აუცილებლად მიიჩნევა, რომ  
ყოველი ტერიტორიისთვის არსებობდეს კა-  
ნონალსრულების სტრატეგია, რომელშიც ამა  
თუ იმ ტერიტორიისთვის განსაზღვრულია  
კონკრეტული განსახორციელებელი ქმედები.  
როგორებიცაა პატრულირების გეგმიური თუ  
არაგეგმიური მარშრუტები, კანონზომიერებე-  
ბი – რომელი პერიოდები და ტერიტორიებია  
განსაკუთრებით სარისკო.

ბრაკონიერობის თავიდან ასაცილებლად  
სააგნენტოს ხელმძღვანელი, რატი ჯაფარიძე  
ეცემტურ მექანიზმად ტერიტორიებზე დაგე-  
ბულ ე.წ. ფოტოხაფანგისებაც მიიჩნევს, რომ-  
ლებიც ადმინისტრაციაში ინფორმაციასა და  
ფოტოებს გზავნის. სააგნენტო აპირებს დანერ-  
გოს მფრინავი პარატების ე.წ. დრონების გა-  
მოყენებაც. თუმცა რეინჯერების ხელფასებისა  
და მომზადების გაუმჯობესებას ის ერთ-ერთ  
პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს.

ჯაფარიძე ამბობს, რომ რეინჯერების ხელ-  
ფასების 30-40%-ით ზრდა იგეგმება, თუმცა  
თუ ლირებული ცვლილებები გვინდა, ეს ზრდა  
უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს: „ესაა ხალ-  
ხი, რომელთა საქმიანობითაც მთლიანად საა-  
გნენტის მუშაობის ეფექტურობა ისაზღვრება.  
ხალხი, რომელიც სიკვდილს თვალებში უყუ-  
რებს. ხელფასი კი 450 ლარს არ აჭარბებს.

■ „საზოგადოებას უნდა  
ესმოდეს, რომ რეინჯერი  
პრაქტიკულად სამართალ-  
დამცავია, მას უნევს არათუ  
უწყინარ, არამედ შეიარა-  
ღებულ დამნაშავეებთან  
დაპირისპირებაც. საჭიროა  
მათი როგორც სათანადო  
აღჭურვა, ისე მომზადება.“

ჩვენ კარგად გვახსოვს რეინჯერ მერაბ არევაძის საქმე, რომელიც ბრაკონიერებთან შეტაკებისას დაიღუპა.“

## როცა განვითარების პროექტი გამორჩეული მდგრადი მდგრადი

როდესაც გარემოსდამცველები ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰქსის აშენებას ეწინააღმდეგებოდნენ, მათი ერთ-ერთი არგუმენტი სწორედ ტერიტორიის ყაზბეგის ეროვნულ პარკთან სიახლოვე, მისი გაფართოების შესაძლებლობის იგნორირება და ხეობის გამორჩეული ეკოსისტემების განადგურების საფრთხე იყო.

ირაკლი შავგულიძე ამბობს, რომ განვითარების პროექტების განხორციელებასა და ბუნების დაცვას შორის კომპრომისული, შუალედური გზის პოვნა ბუნების დამცველების დიდი ხნის შეუსრულებელი მოთხოვნაა. აუცილებელია, არსებობდეს გარკვეული „წითელი ხაზები“ – ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ადგილების ნუსხა, სადაც განვითარების პროექტების განხორციელება არ შეიძლება.

“უამრავი ექსპერტული შეფასება არსებობს, სად გვაქვს ასეთი ადგილები, რომლებიც ბუნების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და რეკომენდებულია იქ დაცული ტერიტორიის დაარსება. ენერგეტიკის სამინისტრო სულ გვეუბნებოდა, თქვენ რომ გვითხოთ, ყველგან ნაკრძალს დაარსებთო, არადა პირიქით, ძალიან ბევრი კატეგორია გვაქვს და კიდევ მეტის დაარსება შეიძლება კონკრეტული ადგილების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით. ყველა ნაკადულზე ჰქსის აშენებით გრძელვადიან მიზნებს ნამდვილად ვერ მივაღწევთ,“ – მიიჩნევს შავგულიძე.

ექსპერტი იხსენებს, რომ 2010 წელს ბუნების ძეგლების ნუსხაზე მუშაობისას პრაქტიკულად დასაცავი ადგილების რიცხვი ასიდან 17-მდე შემცირდა. რადგან უმეტეს ადგილებში სწორედ განვითარების პროექტი იგეგმებოდა.

„ხდის ხეობა ძალიან კარგი მაგალითა იმისა, რა პრობლემის წინაშეც ვდგავართ. ეს ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც ადრეც იყო და სამომავლოდაც უნდა მოწყობილიყო ბუ-



ნების ძეგლი, ამის ყველანაირ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ცხადია, ჩვენ არ ვართ ენერგეტიკული განვითარების წინააღმდეგი, თუმცა როგორმე უნდა შევთანხმდეთ კონკრეტულ სტრატეგიაზე, ენერგეტიკისა და ბუნების დაცვის სექტორმა ერთად უნდა გადაწყვიტოს, სად სჯობს ჰქსების აშენება და სად ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა.“

იყო შემთხვევები, როდესაც დაცული ტერიტორიების საზღვრები შემცირდა, რასაც გარემოსდამცველები სწორედ განვითარების პროექტებს უკავშირებდნენ. ერთი შემთხვევა 2012 წლის გაზაფხულზე ყაზბეგის ეროვნული პარკიდან ტერიტორიების ამორცხვა იყო. ამ ტერიტორიის ნაწილი (რომელიც იმ პერიოდში კვლავ დაცულ ტერიტორიას წარმოადგენდა), დარიალჰესის მშენებელ კომპანიას გადაცა სარგებლობაში. 2012 წლის ზაფხულში კი კოლხეთის ეროვნული პარკიდან ტერიტორიების ამორცხვას ლაზიკას მშენებლობასა თუ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირებდნენ.

რატი ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ თუ ლაზიკას შემთხვევებში საქმე მარტივადაა, ყაზბეგის შემთხვევაში „საქმის შემოტრიალება საკმაოდ ძნელია და ამას გაგებით უნდა შეგხვდეთ.“



ფაქულის აღვეთილი

ფოტო

www.caucasusoffice

ჯაფარიძის აზრით, ამ შემთხვევაში, ზიანის მომტანი პროექტის განხორციელების შესაჩირებლად ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობაა. და თუკი სახელმწიფო უწყებებსა და საზოგადოებას შორის დიალოგი უზრუნველყოფილი იქნება, ამგვარი რამ აღარ მოხდება.

### ეპოტურიზმის პერსპექტივა

სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ეკოტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა აუცილებელია იმ ოქროს შეალების პოვნა, როდესაც ეკოტურიზმი იმ დონეზე იქნება განვითარებული, რომ გარემოს არ ავნოს.

ჯაფარიძე თვლის, რომ დაცულ ტერიტორიებში დიდი სასტუმროების აშენება არაეფექტური და მანკიერი პრაქტიკა იყო.

“ამ მშენებლობებში მიდიოდა საკმაოდ სოლიდური თანხები არა მარტო ბოუკეტიდან, არამედ დონორების თანხებიდან. რეალურად კი ეს სასტუმროები ვერც კი მუშაობს. თუმცის „ვიზიტორთა ცენტრის“ უკუგების კოეფიციენტი 2%-ზე დაბალია,“ – ამბობს ჯაფარიძე. მისი შეფასებით, გაცილებით ეფექტური იქნებოდა ეს თანხები ადგილობრივი კერძო ბიზ-

ნესის მხარდასაჭერად, საოჯახო ტიპის სასტუმროების პირობების გასაუმჯობესებლად დახარჯულიყო.

ჯაფარიძე 2011 წელს წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობის დაკანონებაზეც საუბრობს (2013 წლის გაზაფხულზე ეს ნორმა შეიცვალა) და ამბობს, რომ ეს კარგი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება მოკლევადიანი მიზნის მისაღწევად რეალური სიმდიდრე გაანადგურო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობა სისტემის დეცენტრალიზაციის მომხრეა. მათი განმარტებით, ტერიტორიულ ორგანოებს გარკვეული უფლებამო-სილებები უნდა ჰქონდეთ, რათა ყველაფერი სააგენტოს საშუალებით არ რეგულირდებოდეს.

ჯაფარიძე დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის შემუშავებასაც გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცულ ტერიტორიებს შორის მოქცეულ ადგილებში ზიანის მაქსიმალურად შემცირება მოხდეს, რათა დაცული ტერიტორიები ფრაგმენტული და ერთმანეთისგან იზოლირებული არ იყოს.

ახლო მომავალში ფშავ-ხევსურეთის, მაჭახელას და ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების დაარსება იგეგმება. ■

■ ჯაფარიძე ამბობს, რომ რეინჯერების ხელფასების 30-40%-ით ზრდა იგეგმება,

თუმცა თუ ლირებული

ცვლილებები გვინდა, ეს

ზრდა უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს: „ესაა ხალხი, რომელთა საქმიანობითაც

მოლიანად სააგენტოს

მუშობის ეფექტურობა

ისაზღვრება. ხალხი, რომე-

ლიც სიკვდილს თვალებში

უყურებს. ხელფას კი 450

ლარს არ აჭარბებს. ჩვენ

კარგად გვახსოვს რეინჯერ

მერაბ არევაძის საქმე,

რომელიც ბრაკონიერებთან

შეტაკებისას დაიღუპა.“

## ციტატები



„თუ გაგრძელდება პოლიტიკური რეპრესიები, საპრეზიდენტო  
არჩევნებში მონაწილეობა აზრს კარგავს“, –  
**გიორგი ბარამიძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი**



„საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციას შორის არსებული  
უნდობლობით შეშფოთებული ვარ“, –  
ჯეიმს აპატურაი – ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური  
ნარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.



„მერიის მაღალჩინოსნების დაკავება ადასტურებს, რომ  
სამართალდამცავები პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი  
არიან“, –  
**საქართველოს პრემიერ მინისტრი - ბიძინა ივანიშვილი.**



„კანონი მკაცრი იქნება ყველას მიმართ, ვინც ხელისუფლებაში  
ყოფნისას სახელმწიფო სახსრები მიითვისა“, –  
**საქართველოს ფინანსთა მინისტრი – ნოდარ ხადური.**



„როგორც კი საქართველო ყველა საჭირო მოთხოვნას შეასრულებს,  
ნატო-ს ბინადარი გახდება“, –  
**ნატოს გენერალური მდივანი, ანდრეს ფოგ რასმუსენი**



„მინდა შევეხო იმ უმძიმეს კადრებს, რაც საზოგადოებამ იხილა.  
ეს არის ძალიან სერიოზული დარტყმა ჩვენთვის, ყველასთვის,  
ვინც ამ დროს ხელისუფლებაში ვიყავით. ეს არის ჩვენი  
ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რისთვისაც  
საზოგადოებას ბოდიში უნდა მოვუხადოთ“, –  
**უშიშროების საბჭოს მდივანი – გიგა ბოკერია.**



[www.uchnobifm.ge](http://www.uchnobifm.ge)



**WWW.LIBERALI.GE**

---

## გვიპოვთ სოციალურ ქსელზე

მოგვიყვით



<http://twitter.com/liberalimagazin>



მოგვიწოდეთ



<http://facebook.com/LiberaliMaga>

გამოიხატ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>